სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გამოცემა

გამოდის 1957 წლიდან

№8 (257) ნოემბერი, 2012 წ. www.tsmu.edu

დაჯილდოება

საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატის წოდება და ვერცხლის მედალი მედიცინაში გაწეული დამსახურებისთვის მიენიჭათ:

ასმათ შენგელაიას – ონკოლოგიის და ჰემატოლოგიის დეპარტამენტის ონკოჰემატოლოგიის მიმართულების ასოცირებულ პროფესორს (თსსუ), **მამია ზოდელავას** – ონკოლოგიისა და ჰემატოლოგიის დეპარტამენტის ონკოჰემატოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელს, სრულ პროფესორს (თსსუ), **დარეჯან ღირდალაძეს** – ონკოლოგიის და ჰემატოლოგიის დეპარტამენტის ჰემატოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელს, სრულ პროფესორს (თსსუ), **მერაბ ბერაიას** – ექიმ-რადიოლოგს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, – ნაშრომთა ციკლისთვის: **„ლეიკემიებისა და ლიმფომების დიაგნოსტიკისა და თერაპიის თანამედროვე სტრატეგიის შემუშავება და დანერგვა მკურნალობის ოპტიმიზაციის მიზნით“;**

შოთა ჯაფარიძეს – ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელს, სრულ პროფესორს (თსსუ), **ზურაბ ქევანიშვილს** – ექიმ- აუდიოლოგს, პროფესორს, **დავით მიმინოშვილს** – ექიმ-რადიოლოგს, მედიცინის დოქტორს, ზურაბ **გამგებელს** – ინჟინერ-აუდიოლოგს, ნაშრომთა ციკლისთვის – **„კოხლეარული იმპლანტაცია საქართველოში: ბაზისური კვლევები, აპრობაცია პრაქტიკაში“;**

ლამარა ვაშაკიძეს – ფთიზიატრიის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, სრულ პროფესორს (თსსუ), **კახა ვაჭარაძეს** – ფთიზიატრიის დეპარტამენტის ასოცირებულ პროფესორს (თსსუ), **ლიანა გზირიშვილს** – რადიოლოგიის დეპარტამენტის რენტგენოლოგიის მიმართულების ასისტენტ-პროფესორს (თსსუ), ნაშრომთა ციკლისთვის – **„ტუბერკულოზის პრობლემა საქართველოში“;**

მარინა მამალაძეს – ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ენდოდონტიის მიმართულების სრულ პროფესორს (თსსუ) – ნაშრომთა ციკლისთვის – **„ოპერაციული ოდონტოლოგია“;**

ნიკოლოზ ყიფშიძეს – აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალურ დირექტორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორს, **ვახტანგ კალოიანს** – კლინიკის გენერალური დირექტორის მოადგილეს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების დარგში, **გიორგი გოცაძეს** – კლინიკის მიმღები (გადაუდებელი) სექციის ხელმძღვანელს, მთავარ სპეციალისტს **ნინო ბუცხრიკიძეს** – კლინიკის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსს, ნაშრომისთვის – **„გადაუდებელი მედიცინის განვითარება საქართველოში“.**

მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების მეცნიერები სამედიცინო უნივერსიტეტში

თანამშრომლობის პერსპექტივის განსაზღვრით

2012-2013 ახალი სასწავლო წლიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ეწვივნენ უცხოეთის წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლები, რომლებმაც წაიკითხეს ლექციები საბაზისო და კლინიკური მედიცინის სხვადასხვა დარგში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის **საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტს** არაერთი წელია მჭიდრო ურთიერთობა აქვს მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან და ცნობილ მეცნიერებთან _ ფაკულტეტზე ექვსი საპატიო პროფესორია ამერიკისა და ევროპის უნივერსიტეტებიდან, ხორციელდება ერთობლივი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები. აღნიშნულ პროგრამებში, მოწვეული პედაგოგების რანგში, მონაწილეობენ საზოგადოებრივი ჯანდაცვის, კვების, ჯანდაცვის ორგანიზაციისა და მართვის წამყვანი და აღიარებული სპეციალისტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. მიმდინარე სასწავლო წელი ფაკულტეტზე სწორედ პარტნიორი უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლების ლექციებითა და სემინარებით დაიწყო.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და თსსუ-ის ერთობლივი პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა სტუდენტებისთვის ახალი ინფორმაციის მიწოდება თანამედროვე მიღწევების შესახებ, ხოლო პროფესორ-მასწავლებლებისთვის – გამოცდილების გაზიარება და თანამშრომლობის პერსპექტივების განსაზღვრა.

ერთი კვირის განმავლობაში სტუდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა, მოესმინათ ცნობილი მეცნიერების: **ი. ბოქსანის, დ. ვესტის, ი. კოსტელოს, ს. შიდლოვსკის** ლექციები, მიეღოთ მონაწილეობა დისკუსიებში, გაცნობოდნენ სწავლების თანამედროვე მეთოდებს.

პროფესორმა **იოან ბოქსანმა,** ეპიდემიოლოგიის თანამედროვე პრობლემების განხილვასთან ერთად, ევროპული სამედიცინო განათლების მიღწევებზეც ისაუბრა. თავის დროზე, სწორედ იგი გახლდათ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ლობისტი ევროსივრცეში გაერთიანების თვალსაზრისით და, ასევე, დიდი წვლილი მიუძღვის მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების მიერ ჩვენი უნივერსიტეტის აღიარებისთვის და, როგორც არა მხოლოდ თანაბარ პარტნიორად სამხრეთ კავკასიის რეგიონში, არამედ – როგორც ლიდერად სამედიცინო განათლებაში.

პროფესორმა **დენიელ ვესტიმ,** თსსუ-ის საპატიო პროფესორმა, ინიციატორმა მრავალი წამოწყებისა, ხელი შეუწყო ჯანდაცვის მეცნიერების ცალკეული მიმართულების სწავლების მეთოდების განვითარებას, სასწავლო მასალის შექმნასა და გამოცემას, პროფესორ-მასწავლებლების გადამზადებას, ფაკულტეტის ტექნიკური აღჭურვილობის სრულყოფას. მისი უშუალო ხელმძღვანელობით მრავალი წელია ხორციელდება სტუდენტთა ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, სასწავლო ვიზიტები აშშ-ში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს, ასევე, ეწვია მრავალრიცხოვანი დელეგაცია **პარიზის უნიმენის უნივერსიტეტიდან,** რომელთან ერთად ხორციელდება საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები. სტუდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა, გასცნობოდნენ ფრანგ პროფესორებს და განსაკუთრებით იმ პედაგოგებს, რომლებიც მიმდინარე სასწავლო წელს ჩაერთვებიან ლექცია-პრაქტიკუმების განხორციელებაში. ამასთან, სტუმრები შეხვდნენ ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, დაისახა სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები და უახლოესი გეგმები.

ირინა ზარნაძე,
თსსუ-ის ჯანდაცვის მენეჯმენტის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

უცხოელი მეცნიერები პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკას პედიატრ-ენდოკრინოლოგთა ევროპის ასოციაციის პრეზიდენტი, პროფესორი **ფრანჩესკო ჩიარელი,** ეწვია. აღნიშნული ვიზიტი განხორციელდა კლინიკის ენდოკრინოლოგიური ჯგუფის (პროფესორი **მარინა გორდელაძე)** თაოსნობით.

პროფესორი ფ. ჩიარელი შეხვდა კლინიკის დირექტორს, ქალბატონ **ლია ძიძიგურს.** სამომავლო გეგმებით დაისახა საქართველოს პედიატრ-ენდოკრინოლოგთა ასოციაციის შექმნისა და ევროპის ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ.

პირველი ლექცია-სემინარი ჩატარდა თემაზე: **„ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები და ბავშვებსა და მოზარდებში“; „სიმსუქნე და მეორე ტიპის შაქრიანი დიაბეტი ბავშვებსა და მოზარდებში“.**

სემინარში მონაწილეობდნენ სტუდენტები, კლინიკის ექიმები, სამედიცინო პერსონალი ქალაქის სტაციონარებიდან. ლექციებმა დამსწრეთა დიდი დაინტერესება გამოიწვია, გაიმართა დისკუსია. პროფესორ **ჩიარელის** აზრით, ეს იყო მეტად ნაყოფიერი შეხვედრა, მან აღნიშნა, რომ იმ 103 ქვეყანას შორის, სადაც ის საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა, საქართველო გამორჩეულია მაღალინტელექტუალური სამედიცინო კადრებით და ახალგაზრდების პოტენციალით.

გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკას, ასევე, მსოფლიოში ცნობილი შვედი პედიატრ-ენდოკრინოლოგი, კაროლინის უნივერსიტეტის დედათა და ბავშვთა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ნობელის პრემიის მიმნიჭებელი კომისიის წევრი, პროფესორი **მარტინ რიცენი** ესტუმრა.

პროფესორი რიცენი შეხვდა სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილეს, პროფესორ **რიმა ბერიაშვილს**, კლინიკის დირექტორს, ქალბატონ **ლია ძიძიგურს.** განხილულ იქნა სამედიცინო სწავლების აქტუალური საკითხები, დაისახა სამომავლო გეგმები, მათ შორის – ახალგაზრდა ექიმთა სტოკჰოლმის წამყვან კლინიკებში სტაჟირება. პირველი ასეთი პროგრამა დაიწყება მომავალი წლის აპრილში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ კლინიკის ახალგაზრდა ექიმები.

მარტინ რიცენის სემინარი ბავშვთა და მოზარდთა ენდოკრინოლოგიის აქტუალურ თემატიკას მოიცავდა, კერძოდ: **„ენდოკრინოლოგიური პაციენტების ანამნეზისა და ფიზიკალური გასინჯვის თავისებურებანი“; „ზრდა და ზრდის შეფერხება“; „ნორმალური და დარღვეული პუბერტატი“; „ტესტიკულური ფუნქცია. ნორმა და პათოლოგიური განვითარება“; „სქესის დიფერენცირება“.**

ლექციები დიდი ინტერესით მოისმინეს სტუდენტებმა და კლინიკის ექიმებმა. შემდეგ კი პროფესორებმა **მარტინ რიცენიმ** და **მარინა გორდელაძემ** ჩაატარეს რთულ პაციენტთა საჩვენებელი კონსილიუმი.

პროფესორმა **მარტინ რიცენმა** ყურადღება გაამახვილა ექიმსა და პაციენტს შორის ჯანსაღ ურთიერთობაზე, პირველად მიდგომებზე ენდოკრინოლოგიური პათოლოგიის მქონე პაციენტთა კვლევის დროს, საყურადღებოდ მიიჩნია, ექიმის უწყვეტი პროფესიული განვითარების აუცილებლობა.

სტუმრები ეწვივნენ მცხეთას, სვეტიცხოველს, ჯვრის მონასტერს, საქართველოს ეროვნულ მუზეუმს, ოქროს საგანძურს, ეთნოგრაფიულ მუზეუმს.

წყალტუბო – ბათუმი: ალერგოლოგთა და იმუნოლოგთა საერთაშორისო შეხვედრაზე

VII ეროვნულ და V საერთაშორისო კონგრესს ალერგოლოგიაში _ **„წამალი და ჯანმრთელობა“** – უმასპინძლა ოქტომბრის თვეში წყალტუბომ და ბათუმმა.

კონგრესის მასპინძლები გახლდნენ საქართველოს ალერგოლოგიის და კლინიკური იმუნოლოგიის ასოციაცია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ალერგიის, ასთმისა და კლინიკური იმუნოლოგიის ეროვნული ინსტიტუტი და ა.შ. განიხილეს დარგის ფუნდამენტური კვლევის უახლესი მიღწევები და იმსჯელეს იმუნური სისტემის დარღვევებით გაპირობებული დაავადებების კლინიკური მართვის აქტუალურ საკითხებზე.

კონგრესში მონაწილეობდნენ აღიარებული მეცნიერები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, რომელთა შორის გახლდნენ ლექციების წასაკითხად თსსუ-ში მოწვეული უცხოელი პროფესორებიც, მათ შორის, **სამი ბაჰნა** (შრევეპორტი, აშშ), **სანჯეევ გუფთა** (ა.აინშტაინის სამედიცინო კოლეჯი, აშშ), **დიტრიხ კაბელიტცი** (კილის უნივერსიტეტი, გერმანია), **ტორელო ლოტი** (იტალია), **ელი მაგენი** (ბენ გურიონის უნივერსიტეტი, ისრაელი), **რავი ნეარი** (კლივენდი, აშშ) და მათთან ერთად, ასევე, აღიარებული მეცნიერები: **კონსტანტინ ჩესნულევიჩიუსი** (ბადენ-ბადენი, გერმანია) და ნობელის პრემიის ლაურეატები, პროფესორები **არონ ჩიხანოვერი** (ჰაიფა, ისრაელი), **ზაალ კოკაია** (ლუნდი, შვედეთი).

კონგრესზე მოისმინეს ცნობილი ქართველი მეცნიერების, პროფესორების – **ვლადიმერ ბახუტაშვილის, ვახტანგ ბოჭორიშვილის, გურამ გურგენიძის, იური მალაშხიას** ხსოვნისადმი მიძღვნილი სააქტო ლექციები.

საინტერესო ლექციებით მსმენელთა წინაშე წარსდგნენ ასევე ქართველი მეცნიერები, რომელთა შორის გახლდნენ პროფესორები თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტიდან – **თინათინ ჩიქოვანი, ზურაბ კაკაბაძე, ეკატერინე ბერიშვილი, ნანა გორგასლიძე, გიორგი გურგენიძე, მაია გოთუა, მაია ხერხეულიძე, ნინო ცისკარიშვილი, ივანე ჩხაიძე, ნუგზარ უბერი, ეკატერინე უბერი, ნინო მანჯავიძე, ნინო კილაძე, ბესო ლასარეიშვილი, კახა ვაჭარაძე, ეკა კანდელაკი, მარინა ციმაკურიძე, რევაზ კვერენჩხილაძე, ირინე ზარნაძე, დავით ზარნაძე და სხვები.**

„სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია:
ასათიანის ქ. №7;
ოთახი №600
ტ.: 254-24-64;

რედაქტორი
დალი გაბეშია
ტ: 599 76-25-98
კორესპონდენტები:
მანანა ფხალაძე
ტ.: 555 29 98 27

დარეჯან კომლაძე
ტ.: 558 17 08 47
ნატო ბოლქვაძე
ტ.: 555 28 28 97
ელ.ფოსტა:
medpressa@yahoo.com

ახალი სტრუქტურული ერთეული

ახალგაზრდათა პროფესიული განვითარებისთვის

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, 2010 წელს რექტორის აპარატში შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეული – ***სტუდენტთა და ახალგაზრდა სპეციალისტთა პროფესიული ინტეგრაციის სამსახური (ხელმძღვანელი ირაკლი გვილავა), რომლის*** **ძირითადი ამოცანები და ფუნქციებია:**

უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის და კურსდამთავრებულთათვის დასაქმების ხელშეწყობა; ამ მიზნით თანამშრომლობის კოორდინირება და განვითარება სამოქალაქო, კერძო და სახელმწიფო სექტორთან.

უნივერსიტეტის სტუდენტების, რეზიდენტების, მაგისტრანტების და დოქტორანტების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტების, სემინარების, ტრეინინგების და სტაჟირების პროგრამების ორგანიზება და ამ მიზნით დამატებითი ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მოძიება;

უნივერსიტეტში სტუდენტური ცხოვრების კოორდინაცია და სტუდენტური ორგანიზაციების საქმიანობის ხელშეწყობა;

უნივერსიტეტში სტუდენტური პროექტების, სპორტული და კულტურული ცხოვრების განვითარების ხელშეწყობა;

უნივერსიტეტის სოციალურად დაუცველი, იძულებით გადაადგილებული, ეთნიკური უმცირესობა და უცხოელი სტუდენტების საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა;

უნივერსიტეტის სახელით ურთიერთობა შესაბამის სახელმწიფო, კერძო, სამოქალაქო ორგანიზაციებთან და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთობლივი პროექტების და პროგრამების განხრციელების მიზნით.

განხორციელებული აქტივობები

სამსახურის შექმნის დღიდან განხორციელდა რამდენიმე მასშტაბური ადგილობრივი და საერთაშორისო დონის პროექტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო თსსუ-ის 1000-ზე მეტმა სტუდენტმა, მათ შორის აღსანიშნავია თსსუ-ის და ქ. თბილისის მერიის ერთობლივი პროგრამა ***სტუდენტთა პროფესიული განვითარება,*** რომელიც განხორციელდა სამედიცინო უნივერსიტეტის ორგანიზებით და თბილისის მერიის ფინანსური მხარდაჭერით.

პროგრამის ფარგლებში კლინიკური სასწავლო კურსი 2 თვის განმავლობაში თსსუ-ის 500-მა სტუდენტმა გაიარა ქ. თბილისის წამყვან კლინიკებში, მათ შორის წარმატებულ 100 სტუდენტს თბილისის მერიამ დაუნიშნა წამახალისებელი სტიპენდია. თბილისის მერიისგან სამსახურს გადაეცა მადლობის სიგელი პროგრამის მაღალ დონეზე განხორციელებისთვის.

თსსუ-ის კლინიკებთან ურთიერთობის სამსახურთან ერთად საჩხერის მრავალპროფილურ კლინიკასთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, თსსუ-ის 200-ზე მეტმა სტუდენტმა საზაფხულო სკოლა-სტაჟირება გაიარა თანამედროვე ტექნოლოგიებით და პროფესიონალებით დაკომპლექტებულ საჩხერის საავადმყოფო-პოლიკლინკური გაერთიანება „დოსტაქარში“. პროექტის დასასრულს მონაწილე სტუდენტებს გადაეცათ სერტიფიკატები კურსის წარმატებით დასრულებისთვის. აღსანიშნავია საჩხერის კლინიკის ადმინისტრაციის და ექიმების მხარდაჭერა – თსსუ-ის სტუდენტები უზრუნველყოფილი იყვნენ უფასო საცხოვრებლით და სამჯერადი კვებით. ვსარგებლობთ შემთხვევით და სტუდენტების სახელით მადლობას ვუხდით საჩხერის კლინიკის ადმინისტრაციას გაწეული თანადგომისთვის და იმედს გამოვთქვამთ, რომ სტუდენტებისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი პროექტი მომავალშიც წარმატებით გაგრძელდება.

ნაყოფიერად და წარმატებულად განვითარდა თანამშრომლობა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOM) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID-Georgia) მიერ დაფინანსებული ***„დასაქმებისა და კონსულტირების პროექტის“*** ფარგლებში. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 400-ზე მეტმა დამამთავრებელი კურსის სტუდენტმა და კურსდამთავრებულმა მიიღო მონაწილეობა პროექტის ეგიდით დასაქმების ფორუმში, რომელიც გაიმართა სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ და „ექსპო ჯორჯიის პავილიონში“. აღნიშნული ფორუმის მონაწილე თსსუ-ის 100-მდე სტუდენტი და კურსდამთავრებული საკუთარი პროფესიით დასაქმდა სადაზღვევო, ფარმაცევტულ და ჰოსპიტალურ სექტორში. აგრეთვე, საფუძველი ჩაეყარა სამომავლო ურთიერთობებს პროექტში მონაწილე კერძო კომპანიებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

სამსახურის ინიციატივით ტოშიბას სამედიცინო სისტემების კორპორაციის ევროპის ოფისთან, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩამოყალიბდა წარმატებული ურთიერთანამშრომლობა. ევროპის წარმომადგენლობის პრეზიდენტი **კაი ოდჰნერი** და ვიცე პრეზიდენტი **ჰენდრიკ სობიზევსკი**, აგრეთვე საქართველოს ოფისის დირექტორი **ჯოზეფ კავანაუ** ოფიციალური ვიზიტით ეწვივნენ სამედიცინო უნივერსიტეტს. შეხვედრა გაიმართა ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან ბატონ **ზურაბ ორჯონიკიძესთან** და რექტორის მოადგილესთან პროფესორ **რიმა ბერიაშვილთან**. მიღწეულ იქნა შეთანხმება კომპანიის მხარდაჭერით თსსუ-ში რადიოლოგიაში საერთაშორისო კონფერენციის ჩატარების შესახებ მიმდინარე წელს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ევროპის და საქართველოს წამყვანი სპეციალისტები. კონფერენციის ფარგლებში ჩატარდება ევროპიდან მოწვეული ექსპერტების მასტერკლასები ქართველი სტუდენტებისთვის და ახალგაზრდა ექიმებისთვის. აგრეთვე, კომპანია აქტიურად ითანამშრომლებს უნივერსიტეტთან ექიმების გადამზადებისა და საუნივერსიტეტო კლინიკებში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის კუთხით. უახლოეს მომავალში იგეგმება ურთიერთგაგების მემორანდუმის გაფორმება, რომელიც ხელს შეუწყობს ერთობლივი აქტივობებისა და პროგრამების განხორციელებას.

სამსახურის წარმატებული მუშაობის შედეგად გაფორმდა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი რეგიონის ერთ-ერთ წამყვან ***ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან*** და ჩამოყალიბდა ნაყოფიერი თანამშრომლობა სომეხ კოლეგებთან. მემორანდუმის ფარგლებში სომხეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით უკვე მეორე წელია წარმატებით ხორციელდება ბილატერული აკადემიური გაცვლითი პროგრამა, რომლის ფარგლებში თსსუ-ის 50-მდე სტუდენტმა კლინიკური სწავლების კურსი გაიარა ერევნის წამყვან საუნივერსიტეტო კლინიკებში, ამავე პერიოდში 30-ზე მეტმა სომეხმა სტუდენტმა იგივე კურსი წარმატებით დაასრულა თსსუ-ის საუნივერსიტეტო კლინიკებში. პროგრამის მიზანი გახლავთ რეგიონში მაღალკვალიფიციური სპეციალისტებად ჩამოყალიბების და ახალი ფორმატის ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობა ქართველ და სომეხ ახალგაზრდა მედიკოსებს შორის. აღნიშნული პროექტი გამოდგა წარმატებული, ვინაიდან გახდა საფუძველი ძალიან ბევრი საინტერესო იდეის და ინიციატივის, რომელთა განხორციელება კიდევ უფრო გააღრმავებს მეზობელ ქვეყანასთან თანამშრომლობას ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო განათლების სფეროში. თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა ორმხრივი ოფიციალური სამუშაო ვიზიტები თბილისსა და ერევანში სამომავლო გეგმების შეთანხმებისა და ურთიერთობების უფრო მაღალ დონეზე განვითარების მიზნით.

ასევე, ინტენსიური მუშაობის და ორმხრივი კუნსულტაციების შედეგად დაიწყო და განვითარდა ურთიერთობები ***პოზნანის სამედიცინო მეცნიერებების უნივერსიტეტთან*** (პოლონეთი). გაფორმდა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომლობის განვითარებას სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის – აკადემიური გაცვლითი პროგრამების განხორციელებას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და პოზნანის სამედიცინო მეცნიერების უნივერსიტეტს შორის. მიღწეულია შეთანხმება, რომ 2013 წლიდან თსსუ-ის მედიცინისა და სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები სტაჟირებას გაივლიან პოზნანის მაღალი დონის საუნივერსიტეტო კლინიკებში პოლონეთში. უახლოეს მომავალში დაგეგმილია თსსუ-ის დელეგაციის სამუშაო ვიზიტი პოზნანში, სამომავლო ურთიერთობების განვითარების და გაცვლითი პროგრამების საორგანიზაციო საკითხების განხილვის მიზნით. *პარალელურად აქტიურად მიმდინარეობს კონსულტაციები* ***გდანსკის სამედიცინო უნივერსიტეტში*** *(პოლონეთი) ჩვენს კოლეგებთან სამომავლო ურთიერთანამშრომლობის ჩამოყალიბების მიზნით.* გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობასთან ერთად, აქტიურად ვართ ჩართული უნივერსიტეტის სტუდენტური ცხოვრების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრასა და აქტივობების დაგეგმვაში. მნიშვნელოვანი სამუშაო იქნა ჩატარებული უნივერსიტეტის სტუდენტური ორგანიზაციების სტრუქტურული და ორგანიზაციული განვითარებისთვის, ახალ ეტაპზე გადავიდა თანამშრომლობა უნივერსიტეტსა და ახალგაზრდა პროფესიულ ასოციაციებს შორის სტუდენტებისა და ახალგაზრდა ექიმების მაქსიმალური ჩართულობით. აგრეთვე გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები და განხორციელდა შესაბამისი პროექტები სამოქალაქო სექტორთან ერთად უნივერსიტეტის ეთნიკური უმცირესობასა და იძულებით გადაადგილებული სტუდენტებისთვის საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის. სამსახურის პრინციპი, მუშაობის არსი – მაქსიმალური გახსნილობა და კომუნიკაციაა სტუდენტებთან და საუნივერსიტეტო საზოგადოებასთან. აღნიშნული პრინციპი საფუძვლად უდევს ყველა იმ წამოწყებას, რომელიც განხორციელდა დღემდე და დაგეგმილი გვაქვს მომავალში კიდევ უფრო ფართო მასშტაბით განვახორციელოთ.

გოგი ჩიქოვანი,
სტუდენტთა და ახალგაზრდა სპეციალისტთა პროფესიული ინტეგრაციის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

იუგილარი ავტორის „იუგილარი“ სახელმძღვანელო

უკვე მეოთხედი საუკუნეა, რაც სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტობა მედიცინის ფუნდამენტურ დარგს, ანატომიას, ეუფლება მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, სამედიცინო ბიოლოგიური აკადემიის აკადემიკოსის, ზურაბ კაციტაძის, სახელმძღვანელოთი – *„ადამიანის ანატომია“*. ამ წიგნით, ასევე, სარგებლობს მრავალი დამწყები თუ პრაქტიკოსი ექიმი საჭირო კონკრეტული საკითხის დაზუსტებისა თუ განმარტების მიღების მიზნით.

გვინდა მივულოცოთ ამაგდარ პედაგოგს, პროფესორ ზურაბ კაციტაძეს, საიუბილეო თარიღი, დაბადებიდან 85 წელი და სახელმძღვანელოს გამოსვლის 25-ე წლისთავი. ვუსურვოთ ჯანმრთელობა და წარმატებები სამომავლო საქმიანობაში.

სახელმძღვანელო, როგორც გამოსვლისთანავე (1986წ.) იყო შეფასებული რეცენზენტების მიერ, წარმოადგენს ნაშრომს, რამეთუ, როგორც მთლიანი ორგანიზმი, ასევე, თითოეული ორგანო განიხილება ასაკობრივ ასპექტში, შესაბამისად, ოთხი აუცილებელი სასიცოცხლო ფუნქციისა (მოძრაობა, ნივთიერებათა ცვლა, გამრავლება, გარემოსა და შინაგან ზემოქმედებაზე რეაგირება), დაყოფილია **ოთხ სტრუქტურულ ანატომიურ** აპარატად (ტ. I, გვ. 22-23), ანუ საყრდენ-მამოძრავებელ, ნივთიერებათა ცვლის, გამრავლების და ორგანიზმის გამაერთიანებელ აპარატებად. გულ-სისხლძარღვთა, ნერვულ, ენდოკრინოლოგიურ სისტემებთან ერთად, ცალკე სისტემის სახით, განიხილება **„ორგანიზმის იმუნური უზრუნველყოფის ორგანოთა სისტემა“** (.ტ. II, გვ. 31-45), რაც ხელმისაწვდომი ლიტერატურის პირველი მცდელობაა ანატომიის ტრადიციულ სისტემებს შორის (ძვალ-სახსროვანი, კუნთოვანი, საჭმლის მომნელებელი და სხვა). ახალი, მეტად აქტუალური მნიშვნელობის მქონე „ორგანიზმის იმუნური უზრუნველყოფის“ სისტემის გამოყოფისა და დამკვიდრებისთვის.

სულ ახლახან, იმუნური სისტემის ცენტრალური ორგანოები – **ძვლის ტვინი** – განიხილებოდა ოსტეოლოგიაში, ხოლო **მკერდუკანა ჯირკვალი** – ენდოკრინოლოგიურ ორგანოებში, მათი ფუნქციის არასწორი ან დაკნინებული სახით წარმოდგენის პირობებში.

ორგანიზმისა და ორგანოებისადმი შესწავლის ფუნქციურმა მიდგომამ მნიშვნელოვნად გაამდიდრა სისტემური ანატომიის შემეცნებითი დიაპაზონი, რამაც შეცვალა ზემოხსენებულ ორგანოთათვის დამკვიდრებული ადგილი **„სისტემური ანატომიის“** კლასიფიკაციაში. მაგალითად, საუკუნეების მანძილზე ძვლის ტვინი განიხილებოდა „ოსტეოლოგიაში“, ხოლო მკერდუკანა ჯირკვალი – „ენდოკრინოლოგიაში“, ფაქტობრივად კი, ერთიცა და მეორეც, იმუნური სისტემის ცენტრალური ორგანოებია. ავტორმა, ერთ-ერთმა პირველმა (1986წ.), გამოყო ისინი ცალკე, „ორგანიზმის იმუნური უზრუნველყოფის ორგანოთა სისტემის“ სახით. რის შესახებ ასევე იყო მითითებული ზემოხსენებულ ადრეულ (1986წ.) რეცენზიაშიც.

აღსანიშნავია წიგნის მაღალი პოლიგრაფიული ხარისხი, განსაკუთრებით მრავალი ფერადი ანატომიური სურათის სახით, რისი აუცილებლობაც და მნიშვნელობაც ამ დარგის მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ გადმოგვცა.

დარეჯან კომლაძე

აქტუალური თემა

მზა რისკიდან შედეგამდე

ჰიდროფობია (ცოფი) ვერაგი დაავადებაა და უხსოვარი დროიდანაა ცნობილი. იგი აქტუალური სამედიცინო პრობლემაა მთელ მსოფლიოში ყველა დროსა და ეპოქაში. ამ მხრივ, ჩვენს ქვეყანაშიც, რომლის მთელი ტერიტორია ცოფით ინფიცირების კერად ითვლება, საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა. აღსანიშნავია, რომ პრობლემის გადასაჭრელად ქართველი ექიმები ძალისხმევას არ იშურებდნენ.

მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს **ბავშვთა ქირურგის, ტრავმატოლოგის, მედიცინის დოქტორის, თსსუ-ის რაბიოლოგიის სასწავლო-კლინიკური პროგრამის ხელმძღვანელის, საქართველოს სამხედრო-სამედიცინო აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ თეიმურაზ გოგიძის,** მიერ 1996 წელს თბილისის ბავშვთა მე-2 მრავალპროფილური საავადმყოფოს ბაზაზე, საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი ანტირაბიული სამედიცინო დახმარების ცენტრი, რომლის ფუნქციონირების მთავარი მიზანი იყო მანამდე არარსებული რაბიოლოგიური ქირურგიის სამსახურის ჩამოყალიბება, რითაც ჭრილში მოექცა რაბიოლოგიურ-ქირურგიული ცოდნა-გამოცდილება და უფრო ეფექტური გახადა ნაკბენი ჭრილობის მკურნალობა, ცოფისა და ტეტანუსის პრევენციასთან ერთად. მაგრამ ეს იოლი საქმე როდი იყო. ცენტრის შექმნამდე მეტად რთული გზა გაიარა ბატონმა თეიმურაზმა. ექიმი-რაბიოლოგის პროფესია არაა მიმზიდველი, რადგან იგი დიდ რისკთან და პასუხისმგებლობასთანაა დაკავშირებული და მას ბევრი თავს არიდებს. ბატონ თეიმურაზის შემთხვევაში კი პირიქით მოხდა, 27 წლის ახალგაზრდა ქირურგმა გადაწყვიტა, ამ პრობლემის მოგვარებას შეჭიდებოდა. ეს მაშინ დიდ სირთულესთან იყო დაკავშირებული, რადგან არ იყო ლიტერატურა, არ არსებობდა ნაშრომები, ტექნოლოგიები (ინტერნეტი), რთული იყო უცხოური ლიტერატურის მოძიება. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდა ექიმის საქმისადმი სიყვარულმა და თავდადებამ ყველაფერს სძლია; მან არ დაიშურა დრო, ენერგია, სახსრები და სასურველი შედეგიც დადგა: 1983 წელს ბატონმა თეიმურაზმა შექმნა ანტირაბიული ქირურგიული ცენტრი, რომელიც შემდგომში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩამოაყალიბა ბავშვთა მე-2 საავადმყოფ-

და თავადვე ჩაუდგა სათავეში. შემდგომში კი მის საქმიანობაში თვალსაჩინო წარმატებების წყებაა: პირველი სამეცნიერო ნაშრომის წარდგენა ახალგაზრდა ქირურგთა სამეცნიერო კონფერენციაზე; საქართველოს ანტირაბიული საზოგადოების, შემდგომში _ რაბიოლოგთა კავშირის შექმნა; ჯანდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობით ანტირაბიული სამსახურის სახელმწიფო პროგრამის შედგენა, რომელიც საფუძვლად დაედო მოსახლეობის ანტირაბიული სამედიცინო დახმარების პროგრამას; პირველი ქართულენოვანი „ანტირაბიული ქირურგიული დახმარებისა და აცრების ბარათის“ შედგენა და ქვეყნის მასშტაბით ქირურგ-რაბიოლოგთა პრაქტიკაში დანერგვა; სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის (მაშინ) ქირურგიის კათედრაზე რაბიოლოგიის ციკლის შექმნა, სადაც კვალიფიკაცია აიმაღლა ქვეყნის 75-მა ქირურგმა და ტრავმატოლოგმა; ავტორობა 22 სამეცნიერო ნაშრომისა, სახელმძღვანელოსი – **„ნაკბენ ჭრილობათა მკურნალობა ბავშვებში“** და ბროშურისა – **„ცოფი“;** შემუშავება პროგრამისა – **„რაბიოლოგია პირველადი ჯანდაცვის ექიმებისთვის“**, რომელმაც უწყვეტი სამედიცინო განათლების ეგიდით მონაწილეობა მიიღო საქართველოს ექიმთა პირველი კონგრესის მუშაობაში; ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მისი მეთოდური სახელმძღვანელოს **–„ცოფით დაავადების პროფილაქტიკური მკურნალობა“** – დამტკიცება; უწყვეტი სამედიცინო განვითარების სისტემაში მისი პროგრამების **– „რაბიოლოგიის ქირურგიული ასპექტები“, „რაბიოლოგია პედიატრებისთვის“ და „რაბიოლოგია ექიმებისთვის“** – წარმატებით მონაწილეობა; ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე რეგიონული ანტირაბიული ცენტრების დაფუძნება, სადაც შესაძლებელი ხდება ოპერატიული და კვალიფიციური დახმარების გაწევა; მუდმივ რეჟიმში ექიმ-რაბიოლოგთა გადამზადება და რაბიოლოგიაში თანამედროვე მიღწევების დანერგვა (48 სავალდებულო ინექციიდან 3-5-მდე შემცირების მეთოდი), ანტირაბიული იმუნოგლობულინის ნაკბენ ჭრილობაში შეყვანა პასიური იმუნიზაციის მიზნით მძიმე კატეგორიების ნაკბენების დროს; ასევე – ახალი კვლევები. კლინიკურად აღსანიშნავია კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი და უპრეცედენტო მიკროქირურგიული მეთოდი, კერძოდ, ნაკბენი ჭრილობების ანატომიური მთლიანობის აღდგენა მიკროსკოპული ტექნიკის გამოყენებით, რის შემდეგ დაზარალებულს არ სჭირდება ორეტაპიანი ქირურგიული ჩარევა, როგორც ეს მთელ მსოფლიოში ხდება.

უდავოდ, ბატონი თეიმურაზის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ცოფის შემთხვევების საგრძნობლად კლება. ამის ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელია ცხოველებისგან დაზარალებულთა მიმართვიანობის ზრდა და მათი სასიცოცხლო ჩვენებით შემდგომი ანტირაბიული პროფილაქტიკური მკურნალობა. საყურადღებოა, აგრეთვე, მისი შეხედულებები მაწანწალა ცხოველთა სავალდებულო რეგისტრაციის, ვაქცინაციის, სპეციალურ თავშესაფრებში განთავსების აუცილებლობაზე.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჯანდაცვის ამ სფეროში თვალსაჩინო შედეგია მიღწეული, შექმნილია რაბიოლოგიის თანამედროვე სკოლა, რაშიც უდიდესი წვლილი პროფესორ თეიმურაზ გოგიძეს მიუძღვის, თუმცა თვითონ იგი ასე არ ფიქრობს. ამის დასტურია მის მიერ ახლახან გამოცემული მონოგრაფია – **„ცოფი, მისი პრევენცია და ნაკბენი ჭრილობების ქირურგიული მკურნალობა“,** რომელიც „არავინ და არაფერია დავიწყებულის” პრინციპითაა შედგენილი და ავტორი ქრონოლოგიურად დიდი სითბოთი და პატივით იგონებს იმ მეცნიერებსა და პრაქტიკოს ექიმებს, რომლებმაც გარკვეული წვლილი შეიტანეს ქვეყანაში წამყვანი ანტირაბიული სამსახურის ჩამოსაყალიბებლად.

აღნიშნული მონოგრაფია ექიმებისა და მკითხველთა ფართო წრისთვისაა განკუთვნილი და მისი რეცენზენტები არიან თსსუ-ის ინფექციურ სნეულებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მედიცინის დოქტორი, სრული პროფესორი **ელზა ვაშაკიძე,** მედიცინის დოქტორი, პროფესორი **პაატა იმნაძე** და თსსუ-ის სახელშეკრულებო ბაზაზე არსებული გადაუდებელი ქირურგიისა და ტრავმატოლოგიის სამეცნიერო-პედაგოგიური ცენტრის პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი **გია თომაძე.**

წიგნში ძირითადად ყურადღება ეთმობა ცოფის ეპიზოოტოლოგიას, დიაგნოსტიკას, კლინიკურ მასალას, ფერად ილუსტრაციებს, სტატისტიკურ მონაცემებს, რაც ავტორის მიერ გამოცემულ ადრინდელ ნაშრომებთან ერთად, კიდევ უფრო განავითარებს ჩვენი ქვეყნის ანტირაბიულ სამსახურს და მყარ გარანტიას შეუქმნის რაბიოლოგ-ქირურგიული სკოლის არსებობას.

“მონოგრაფიის ავტორი მეოთხედ საუკუნეზე მეტია მუშაობს ამ რთულ და მძიმე პრობლემაზე, – ამბობს თავის სარეცენზიო წერილში პროფესორი **ელზა ვაშაკიძე** და თვლის, რომ უმნიშვნელოვანესია ავტორის ღვაწლი ანტირაბიული პროფილაქტიკის, ანტირაბიული იმუნოგლობულინისა და ვაქცინის კომბინირებულად გამოყენების, თანამედროვე უსაფრთხო სქემების აპრობაციასა და პრაქტიკაში ფართოდ დანერგვის საქმეში. ქალბატონ ელზას მონოგრაფია მნიშვნელოვან შენაძენად მიაჩნია ოჯახის ექიმების, ინფექციონისტების, რეზიდენტებისა და უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების სტუდენტებისთვის.

რეცენზენტი, პროფესორი **პაატა იმნაძე**, საუბრობს რა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ეპიზოოტიური და ეპიდემიოლოგიური სიტუაციის საკმაო არასახარბიელობაზე, პროფესორ თ. გოგიძის მიერ გამოცემულ მონოგრაფიას მიიჩნევს ანტირაბიული სამსახურის გაუმჯობესების წინაპირობად, რადგან წიგნში თავმოყრილია ამ დაავადების ირგვლივ 29 წლის მანძილზე ავტორის მიერ დაგროვილი მაღალპროფესიული ცოდნა-გამოცდილება. იგი, ასევე, მნიშვნელოვანს უწოდებს რაბიოლოგიური და ქირურგიული მიმართულებების კომპლექსურ წარმოჩენას, რადგან ეს უფრო ეფექტურს ხდის, როგორც ნაკბენი ჭრილობის მკურნალობას, ასევე, ანტირაბიულ სპეციფიურ პროფილაქტიკას, ანტიტეტანურ იმუნიზაციასთან ერთად. ბატონი პაატა განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმ დიდ წვლილს, რაც პროფესორ თ. გოგიძეს 1997 წლიდან მიუძღვის ახალი ტიპის, 3-5 ინექციანი ანტირაბიული ვაქცინაციის კურსის შემუშავება-დანერგვაში. მისი დასკვნით: „მონოგრაფია, ავტორის მიერ გამოცემულ წინა ნაშრომებთან ერთად, ხელს შეუწყობს ანტირაბიული ქირურგიული დახმარების ხარისხის გაუმჯობესებას და ქირურგ-რაბიოლოგთა კვალიფიკაციის ამაღლებას.“

ასევე, დადებით შეფასებას აძლევს მონოგრაფიას პროფესორი **გია თომაძე:**

„მონოგრაფიაში წარმოდგენილ ინფორმაციას აქვს არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც. რაბიოლოგიური მედიცინა 2000 წლიდან ისწავლება საქართველოს დიპლომისშემდგომი განათლების სფეროში. ჩემი ღრმა რწმენით, მედიცინას ამ მიმართულებით უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს უმაღლესი სამედიცინო განათლების დიპლომამდელი სწავლების პროცესში“.

თავად ბატონი თეიმურაზი მადლიერებითაა აღსავსე საქართველოს ყველა ქირურგი-რაბიოლოგის და რაბიოლოგიაში მომუშავე სხვადასხვა დარგის სპეციალისტის, კოლეგის, მეგობრის მიმართ, რომლებმაც თანადგომა გაუწიეს წინააღმდეგობებით აღსავსე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. მას დიდი სურვილი აქვს ამ მიმართულებით ილვაწოს, უფრო მეტი და ერთგული დარჩეს თავისი პრინციპის – ყოველდღე იცხოვროს ისე, თითქოს ეს უკანასკნელი დღეა და დაისახოს ისეთი მიზნები, თითქოს წინ მარადისობაა.

ბატონო თეიმურაზ, გისურვებთ, დასახული მიზნების განხორციელებას, საქმიანობისთვის ამოუწურავ უნარს და ენერგიას.

დალი გაბეშია

დაზარალებული გოგონა, 10 წლის
ნაფლეთოვანი ჭრილობები სახის არეში, მარცხნივ. გაიკერა რეგიონში, პირველ დღეს, რაც შეცდომაა. ჭრილობა დაჩირქდა. თბილისში მკურნალობის პარალელურად, ჭრილობის აღდგენა მოხდა მე-5 დღეს. ჩაუტარდა ანტირაბიული პროფილაქტიკა.

ცხოვრების ჯანსაღი წესი

ჯანმრთელობის აუცილებელი პირობა



სადღეისოდ მოსახლეობა მთელ მსოფლიოში ჯანმრთელობის მდგომარეობის ხანგრძლივი პერიოდით შენარჩუნებისა და, შესაბამისად, სიცოცხლის გახანგრძლივების კუთხით, კვლავ სხვადასხვა პრობლემის წინაშე დგას. მოწოდებას – „დავიმკვიდროთ ცხოვრების ჯანსაღი წესი“ – სადღეისოდ ერთ-ერთი გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლია ადამიანის გაჯანმრთელების, შრომისუნარიანობის ამაღლებისა და სიცოცხლის გახანგრძლივების თვალსაზრისით.

ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვის პრობლემა მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. მისი განხორციელება თითოეული ჩვენგანისგან, პირველ რიგში, მოითხოვს სათანადო ნებისყოფის გამოვლენას. მიუხედავად იმისა, რომ მთელი რიგი საკითხის (მუშაობის, დასვენების, კვების, ფიზიკური დატვირთვის და ა. შ.) გადაწყვეტა სრულიად მარტივად შეიძლება, უნებისყოფო ადამიანისთვის შესაძლოა ეს პრობლემად იქცეს, რაც შემდგომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის დარღვევის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ხდება.

უდავო ფაქტია, რომ თანამედროვე მედიკამენტოზური, ქირურგიული და სხვა კომპლექსური მკურნალობის მეთოდების მეშვეობით დღეს ბევრ ავადმყოფს შესაძლებელია შეუნარჩუნდეს სიცოცხლე და მეტ-ნაკლებად დაუბრუნდეს შრომისუნარიანობა, მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ მძიმე დაავადებათა და დაზიანებათა გადატანის შემდეგ, განსაკუთრებით საშუალო და ხნიერი ასაკის ადამიანები, უმრავლეს შემთხვევაში ნაკლებად უბრუნდებიან ჯანსაღ ცხოვრებას, რაც ადამიანისთვის უმნიშვნელოვანესია.

გამომდინარე აქედან, თითოეულმა ადამიანმა დროულად უნდა დაიწყოს ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებასა და მის პრაქტიკულად განხორციელებაზე ფიქრი.

ცნობილია, რომ ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვის თვალსაზრისით ერთ-ერთი წამყვანი მნიშვნელობა ადამიანის (როგორც მოზრდილის, ისე ბავშვის) აქტიურ ფიზიკურ დატვირთვას, განსაკუთრებით – ფიზიკურ ვარჯიშს ენიჭება. სიცოცხლე მოძრაობაა, რომლის ქვეშაც იგულისხმება სხვადასხვა სახის „კუნთური მუშაობა“. ადამიანის ორგანიზმის სხვადასხვა სისტემის (გულ-სისხლძარღვთა, სასუნთქი, კუნთოვანი, ნერვული და სხვა) ფიზიოლოგიური ფუნქციონირებისთვის კანონზომიერად უნდა ხდებოდეს ნებისმიერ ასაკში ამა თუ იმ სახის ფიზიკური დატვირთვის შესრულება. ორგანიზმის ფიზიკური უმოძრაობა ადამიანს ჯანმრთელობის მხრივ უქმნის მდგომარეობას, რომელსაც **ჰიპოკინეზია,** ანუ მოძრაობის შეზღუდვა ეწოდება. ჰიპოკინეზიის დროს ფიზიოლოგიურ ორგანოთა – სისტემების ფუნქციონალური ქმედითუნარიანობის დაქვეითება შემდგომში მთელ რიგ დაავადებათა (ნივთიერებათა ცვლის დარღვევა, სასიცოცხლო ორგანოების დისფუნქცია, ჩონჩხის კუნთებისა და სახსრების ფუნქციური დარღვევები და ა. შ.) განვითარებას განაპირობებს, რომელთა მკურნალობაც მოითხოვს ხანგრძლივ დროს, ეკონომიკურ ხარჯებს და, რაც მთავარია, ის უფრო ხშირად არაეფექტურად მთავრდება.

ამგვარად, მოძრაობა – ფიზიკური დატვირთვა, ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, ამიტომ მას ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში სათანადო ადგილი უნდა დაეთმოს.

სამწუხარო ფაქტია, რომ ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სხვა მნიშვნელობის მთელი რიგი საკითხის არასწორად გადაწყვეტამ უარყოფითად იმოქმედა ბავშვების ფიზიკურ აღზრდაზე. დავიწყოთ იქედან, რომ საბავშვო ბაღებში (მით უფრო – კერძო ბაღში) დღეს აღსაზრდელთა მეცადინეობა არასრულფასოვნად ტარდება. ბევრად უარესი მდგომარეობაა სახელმწიფო, საჯარო და კერძო სკოლებში. თანახმად ახალი გადაწყვეტილებისა, ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები სპორტის გაკვეთილებითაა შეცვლილი. რასაკვირველია, სპორტული წვრთნის – ვარჯიშის – დროს მოსწავლე ფიზკულტურის გაკვეთილთან შედარებით ბევრად უფრო მეტ ფიზიკურ დატვირთვას იღებს, მაგრამ ეს მხოლოდ მოსწავლეთა იმ ნაწილს ეხება, რომელიც ფიზიკურად კარგადაა მომზადებული – ისინი გაკვეთილზე უფრო აქტიურობენ, მათ შორის ბევრი დღის მეორე ნახევარში ისედაც სპორტულ წვრთნას გადის სხვადასხვა სპორტულ სკოლაში. რაც შეეხება ფიზიკურად სუსტ და არასათანადოდ მომზადებულ მოსწავლეებს, უმრავლესობა ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, უყურადღებოდაა მიტოვებული და მათ ჯანმრთელობაზე არავინ ზრუნავს.

იყო დრო, როცა უმაღლეს სასწავლებელში ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები პირველ ოთხ კურსზე ტარდებოდა. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში (ყოფილ ინსტიტუტში) სტუდენტთა ფიზიკური აღზრდის საკითხი ყოველთვის საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა და სათანადო ყურადღება ეთმობოდა. სადღეისოდ კი ფიზიკურ აღზრდასა თუ სპორტში უმაღლეს სასწავლებლებში სავალდებულო აკადემიური მეცადინეობები I-II კურსებზედაც არ ტარდება.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ფუნქციობს სპორტისა და ხელოვნების ცენტრი. ასეთი ცენტრები ალბათ სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიცაა. ამ ცენტრს გააჩნდა დიდი შესაძლებლობა სპორტული ბაზების მშენებლობისა და მათი შემდგომი გაფართოების თვალსაზრისით, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ტერიტორიის, მიწის, დიდი ნაწილი უნივერსიტეტის მაშინდელი ხელმძღვანელობის მიერ არასწორად იყო გასხვისებული. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ცენტრი, როგორც ხელოვნების, ისე სპორტის განვითარების კუთხით, ატარებს საკმაოდ დიდ და, ამავე დროს, ეფექტურ მუშაობას, მაგრამ, ფაქტობრივად, სპორტული ბაზების სიმცირის გამო სტუდენტთა მხოლოდ ნაწილი ვარჯიშობს. უნივერსიტეტის კვალიფიციურ სპორტულ გუნდებში (კალათბურთი, ფეხბურთი და სხვა) ყოველდღიურად ტარდება წვრთნა, სტუდენტთა უმრავლესობა (მათ შორის – ძალიან ბევრი უცხოელი სტუდენტი) საჭირო ფიზიკურ დატვირთვას არ იღებს, რაც არასწორია.

შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ ბავშვები, მოზარდები, გარეთ, უპირატესად – ქუჩებში, პრიმიტიულ მოედნებზე ეწევიან სხვადასხვა სახის (ძირითადად – ბურთით თამაშს) ფიზიკურ დატვირთვას ისე, რომ არც ერთი მათგანი სპეციალური მეთოდებით არ ისინჯება ექიმის მიერ. ეს ხომ მედიცინასა და სპორტში კანონად ითვლება – „ვინც იწყებს ფიზიკურ ვარჯიშს, სპორტულ წვრთნას, მან უნდა გაიაროს სპეციალური სამედიცინო შემოწმება – საექიმო კონტროლი“, რაც მასობრივი წესით ჩვენთან არ ტარდება. მართალია კვალიფიციური სპორტსმენები სპორტული მედიცინის ცენტრებში გადიან გაღრმავებულ სამედიცინო შემოწმებას, რომლის დროსაც წარმოებს მათი ჯანმრთელობის, ფიზიკური განვითარებისა და ფიზიკური მომზადების (გავარჯიშების დონის) დადგენა, მაგრამ, სადღეისოდ, აღნიშნული მოითხოვს გარკვეული ცვლილებების შეტანას, რაზეც ჯანმრთელობისა და სპორტის უწყებებმა უნდა გაამახვილონ სათანადო ყურადღება. ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩნევთ, რომ სამედიცინო ფაკულტეტის VI კურსზე ბევრად უფრო ფართოდ ისწავლებოდეს სპორტული მედიცინა, ვიდრე დღეს. თუ ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებასთან დაკავშირებით პოლიკლინიკის ექიმმა (ოჯახის ექიმმა) უნდა მისცეს პიროვნებას სათანადო რჩევა-დარიგება ფიზიკური აქტივობის (ფიზიკური დატვირთვის) პრობლემებიდან გამომდინარე, მაშინ მან უნდა იცოდეს თუგინდ ფუნქციური გამოკვლევის – ტესტირების – მარტივი მეთოდები, რაც სადღეისოდ ექიმთა ამ კონტიგენტისათვის, სამწუხაროდ, სრულიად უცნობია.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველთა საბჭომ გულდასმით განიხილა მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების თვალსაზრისით ფიზიკური აქტივობის მნიშვნელობის საკითხი და მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში შესაბამისმა დეპარტამენტებმა დაიწყონ ამ პრობლემასთან დაკავშირებით სპეციალური წინადადებების მომზადება და სტუდენტთა სწავლებისა და კადრების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სათანადო მუშაობა.

ზურაბ კაციტაძე,
პროფესორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე,

რომანოზ სვანიშვილი,
პროფესორი, რექტორის მრჩეველთა საბჭოს მდივანი,

ნაირა ჭაბაშვილი,
პროფესორი, უნივერსიტეტის სამედიცინო რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი,

ზაურ ფხალაძე,
უნივერსიტეტის სპორტისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორი.

სპორტი

ისევ წარმატებით

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში დასრულდა შიდა ჩემპიონატი მინი ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდა 20 გუნდი. ტურნირში მონაწილეობას იღებდნენ ინდოელთა და თურქთა სამ-სამი, აგრეთვე – ნიგერიელთა ერთი ნაკრები. ჯგუფურ შეჯიბრში გამარჯვებული მესამედ გახდა „რეაბილიტაცია“, რომელმაც ფინალში „რეალი“ დაჯაბნა ანგარიშით – 5:0. მესამე საპრიზო ადგილი ფიზიკური მედიცინის რეაბილიტაციის ფაკულტეტის პირველკურსელთა გუნდმა „თბილისი სითიმ“ დაიკავა, რომლის გამორჩეული წევრიც, **მირიან ჯიქია,** თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ნაკრებში მიიწვიეს.

გამოვლინდნენ ასპარეზობის საუკეთესო მონაწილეები: მეკარე – **გიორგი ლოლუა**, მცველი – **ზვიად ბლიაძე**; ბომბარდირი – **გიორგი პაიჭაძე** (17 გოლი); თავდამსხმელი – **მირიან ჯიქია**; ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი – **ცოტნე ნანიტაშვილი.**

ტურნირის მაღალ დონეზე ორგანიზების თვალსაზრისით დიდია თსსუ-ის სპორტის და ხელოვნების ცენტრის დირექტორის, **ზაურ ფხალაძის**, ამავე ცენტრის თანამშრომლის, თსსუ-ის საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელის, **ვახტანგ ბაქანიძის,** თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, **გიორგი ჭინჭარაულის** წვლილი.

მარი ხანიკაევი,
თსსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

„გადაუდებელი დახმარების“ დიდოსტატი



იუბილარი

ჩვენი პირველი შეხვედრა ოცდაოდე წლის წინ შედგა. სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ პროფილაქტიკური მედიცინის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღება მომანდო. შემოთავაზება მივიღე და კონკურსში გავიმარჯვე. ქუდბედიანი აღმოვჩნდი: ხუთი მომდევნო წლის განმავლობაში (1994-1999 წ.წ.) ჩემ გვერდით შესანიშნავი თანამშრომლები და სამედიცინო ინსტიტუტის ერთგული მოამაგენი აღმოჩნდნენ – მდივანი ქეთინო ხვედელიანი, ჩემი მოადგილეები – მიხეილ ქურხული, დავით გელოვანი, ვანო მჟავია. ჩემი ძირითადი სამეცნიერო-პედაგოგიური პროფესიის გათვალისწინებით, უნივერსიტეტის სამეცნიერო მიმართულების ხელმძღვანელმა, პროფესორმა ვახტანგ ყიფიანმა, საუნივერსიტეტო ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის (ცსკლ) სამეცნიერო მუშაობაში ჩამრთო, რომელიც ეხებოდა მძიმე მეტალების მავნე მოქმედებას ადამიანის ჯანმრთელობაზე. სწორედ ამ პერიოდში მომიწია პირველმა შეხვედრამ ბატონ **რევაზ კამკამიძესთან**, რომელიც მაშინ დიდი წარმატებით მოღვაწეობდა საუნივერსიტეტო ვივარიუმის გამგედ. პირველივე დღიდან ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ბატონი რევაზის სიდინჯემ, დაუღალავი მზადყოფნით გაწონასწორებულმა მოქმედებამ კონსულტაციებისა და საქმიანი დახმარების აღმოსაჩენად. 1999 წლიდან კი ცსკლ გადაკეთდა საუნივერსიტეტო ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად (ეკმი), რომლის დირექტორად ვმუშაობდი 1999-2003 წ.წ, შეთავსებით კი – ეკმი-ს ალერგოლოგიისა და იმუნოლოგიის სამეცნიერო ლაბორატორიის ხელმძღვანელად (1999-2006 წ.წ.). ათწლეულების მანძილზე ჩემი შთაბეჭდილება ბატონ რევაზზე განუხრელად იზრდებოდა და სადღეისოდ ის ჩვენი Alma mater-ის საყოველთაოდ საყვარელ და პატივცემულ, ერთგულ თანამშრომლადაა აღიარებული.

მას ახლახან 75 წელი შეუსრულდა. მიუხედავად ამისა, იგი კვლავინდებურად მხნედ გამოიყურება – არასოდეს შეგვიმჩნევია დაღლის ნიშანწყალი ან აღელვება, ასაკისთვის დამახასიათებელი სუბიექტური ან ობიექტური მიმანიშნებელნი.

დაიბადა 1937 წელს ხარაგაულში, მოსამსახურეთა ოჯახში. აქვე, 1950 წელს, დაამთავრა რკინიგზის მე-19 საშუალო სკოლა, 1968 წელს კი – საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის ზოოტექნიკური ფაკულტეტი და მიენიჭა სწავლული ბიოტექნიკოსის კვალიფიკაცია.

45 წლის წინ შემოაღო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კარი, სადაც ინსტიტუტის ვივარიუმის გამგედ დაინიშნა. ამ დროიდან იგი განუშორებლად შეუსისხლხორცდა ამ წამყვან უმაღლეს სამედიცინო სასწავლებელს და მისი ოჯახის ერთგულ წევრად დარჩა. ბუნებრივია, იცვლებოდა მისი ადმინისტრაციული თანამდებობების სპექტრი: ვივარიუმის კლინიკის გამგე (1993 წ.), თსსი-ს ეკმი-ს დირექტორის მოადგილე ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში და ვივარიუმის გამგე (1994_1999 წ.წ.). ვივარიუმის ხელმძღვანელად ბატონი რევაზი დღესაც განაგრძობს მუშაობას, თუმცა, ყოველგვარი შეთავსების გარეშე, ისევ დაუღალავად ასრულებს ნებისმიერ თხოვნას. მოკრძალებული ბუნების ადამიანი, ბატონი რევაზი, ყოველგვარი ქედმაღლობის გარეშე, ამაყობს იმ მრავალი ჯილდოთი, რომელიც მას წილად ხვდა: ფულადი პრემიები სამეცნიერო პროექტების წარმატებით შესრულებისთვის, უნივერსიტეტის იუბილისადმი მიძღვნილი საპატიო სიგელები სტუდენტთა სწავლების პროცესის ორგანიზებაში შეტანილი პირადი წვლილისთვის, ასევე, ნაყოფიერი საფინანსო და სამეურნეო საქმიანობისთვის გამოცხადებული არაერთი მადლობა და სხვა. მას განსაკუთრებით ახარებს და ეამაყება სტუდენტ-ახალგაზრდობასთან თბილი და ჭეშმარიტად მეგობრული ურთიერთობა.

დღესაც ის უსაზღვროდ ბედნიერია, რაც განუყრელადაა დაკავშირებული საყვარელი უნივერსიტეტის ყოველდღიურ ცხოვრებასთან.

ჩემო რეზო, უზომო პატივისცემით და გულწრფელი მეგობრული სიყვარულით გისურვებ მხნეობას, კვლავაც ხანგრძლივ სიცოცხლეს ჩვენი ქვეყნის და ერის ნათელი მომავლისა და კეთილდღეობისთვის, ჩვენო „გადაუდებელი დახმარების დიდოსტატო!“.

აკადემიკოსი
ვალიმ სააკაძე,
მედიცინის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ჩვენი საყვარელი ხელმძღვანელი

უკვე დღესვე ვგრძნობთ, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე გაგვყვება წლევანდელი ზაფხული, როდესაც გულმოდგინეთ შევუდექით სტუდენტთა საზაფხულო დასაქმების პროგრამის განხორციელებას. ეს ხომ მართლაცდა დიდებული საშუალებაა _ საკუთარი შრომით გამოიმუშაო საარსებო თანხა. პროგრამაში ჩართული გახლდათ საქართველოს სტუდენტთა უმრავლესობა. გვაქვს სურვილი, სამომავლოდ ისევ მივიღოთ მონაწილეობა სტუდენტური დასაქმების პროგრამაში და ჩვენი წვლილი შევიტანოთ ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეების კეთებაში.

ჩვენი გუნდი, რომელიც აერთიანებდა საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის 15 სტუდენტს, აქტიურად იყო ჩართული აღნიშნული პროექტის განხორციელებაში, კერძოდ, დასაქმებული გახლდით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვივარიუმში და გვინდა განსაკუთრებული ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ იქ შესანიშნავი პიროვნება, ადამიანური თვისებებით დაჯილდოებული, მშობლიური მზრუნველობით გამსჭვალული, ჩვენი საყვარელი ხელმძღვანელი, ბატონი **რევაზ კამკამიძე** დაგვხვდა, რომელიც ჩვენთან ერთად მუშაობდა და ცდილობდა სასიამოვნო შრომითი გარემო შეექმნა. ასევე, გვინდა მადლობა გადავუხადოთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ **ზურაბ ვადაჭკორიას**, მთელ ადმინისტრაციულ გუნდს და ჩვენს მეგობარს, უშუალო ხელმძღვანელს, ბატონ რევაზ კამკამიძეს.

სტუდენტთა გუნდის სახელით:
თეონა ასათიანი, ნინო შეშაბერიძე,
ნელი ბიბილეიშვილი,
ლეილა კრასკოვსკაია, ანა ოგანოვა

ახალი თეორიის – ორგანიზმის გარდამავალი მდგომარეობის მნიშვნელობა პრაქტიკული მედიცინისთვის

ჯანდაცვის პერსპექტივები

მიუხედავად იმ მნიშვნელოვანი წარმატებებისა, რასაც თანამედროვე კლინიკურმა მედიცინამ მიაღწია, განსაკუთრებით უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში, დაავადებათა და დაზიანებათა დიაგნოსტიკის, მკურნალობის (რეანიმაციის), რეაბილიტაციის თვალსაზრისით, მაინც ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პათოლოგიათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში პრიორიტეტი **პროფილაქტიკას – პრევენციას** ან **პრევენციულ თერაპიას** უნდა მიენიჭოს, ვინაიდან სწორედ მასზეა დამოკიდებული ადამიანის ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის შენარჩუნება, ხანგრძლივ, ჯანმრთელ სიცოცხლესთან ერთად.

უდავოა, რომ პრევენციულ მედიცინაში მრავალი სიახლეა, მაგრამ ამ მიმართებით ჯერ კიდევ ბევრი რამ დასახვეწი და მოსაგვარებელია, კერძოდ, მოსახლეობის პროფილაქტიკური შემოწმება, რის გამოც, რიგი დაავადების თავიდან აცილება ეფექტურად ვეღარ ხერხდება, ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ სამედიცინო პერსონალსაც უკეთ უნდა ესმოდეს პროფილაქტიკური მედიცინის მნიშვნელობა.

სულ ახლახან, რუსეთის ერთ-ერთ სამედიცინო-მეცნიერულ ჟურნალში – **„პათოლოგიური ფიზიოლოგია და ექსპერიმენტული თერაპია“** – გამოქვეყნდა ჩვენი თანამემამულის, საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერის, აკადემიკოს **მიხეილ ხანანაშვილის,** სტატია – **„ნორმასა და პათოლოგიას შორის გარდამავალი მდგომარეობის თეორია“.** ავტორმა მრავალი ექსპერიმენტის საფუძველზე ჩამოაყალიბა სრულიად ახალი თეორია ორგანიზმის ე.წ. გარდამავალი მდგომარეობის შესახებ; როგორც ცნობილია, ცოცხალ ორგანიზმში (იგულისხმება ადამიანიც) არსებობს ე.წ. გარდამავალი მდგომარეობა, ამიტომ, როდესაც განიხილება საკითხი ორგანიზმის სამი მდგომარეობის – ჯანმრთელობის, დაავადებისა და სიკვდილის თაობაზე, აუცილებელია მსჯელობა მეოთხე, ანუ გარდამავალ მდგომარეობაზეც, იგულისხმება ორგანიზმის ჯანმრთელობასა და დაავადებას შორის პერიოდი, რომლის დროსაც შესაძლებელია ორგანიზმში მოხდეს ფიზიოლოგიური პროცესების შეცვლა – დარღვევა (პირველ რიგში, ნერვულ სისტემაში), რაც კლინიკურად შეიძლება არც იქნეს გამოვლენილი.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ გარდამავალ მდგომარეობაში, ორგანიზმს, თვითრეგულირების მექანიზმების განვითარებით, აქვს უნარი, თვითონვე გამოასწოროს იგი თუ, რასაკვირველია, შეექმნება სათანადო და აუცილებელი პირობები, რომლის დროსაც ორგანიზმი დაცული იქნება მთელი რიგი უარყოფითი ფაქტორის (ნერვული-სტრესული გაღიზიანებები, შრომისა და დასვენების რეჟიმის დარღვევა, არასათანადო კვება, არასწორი მედიკამენტური მკურნალობა და სხვა) ზეგავლენისგან.

ჩვეულებრივ, პაციენტი ექიმს დახმარებისთვის მიმართავს მაშინ (სამწუხაროდ, ხშირად, არადროულად), როდესაც შეამჩნევს ორგანიზმის (ცალკეულ ორგანოთა სისტემის) ფუნქციონირებაში რაიმე ცვლილებას (გადახრას) არასასიამოვნო შეგრძნებისა თუ გამოვლინებების წარმოშობასთან დაკავშირებით. რაც შეეხება ორგანიზმის ჯანმრთელ და უკვე განვითარებულ (დაწყებულ) პათოლოგიურ მდგომარეობას შორის პერიოდს, ანუ გარდამავალ მდგომარეობას, იგი მედიცინის მიერ ჯერ კიდევ ნაკლებადაა შესწავლილი, ვინაიდან კონტაქტი პაციენტსა და ექიმს შორის ამ დროს იშვიათადაა. მართალია, მოსახლეობის გარკვეულ კონტინგენტს (ჯგუფებს) უტარდებათ დისპანსერიზაცია, მაგრამ იგი ხშირად ვერ მოიცავს გარდამავალ მდგომარეობას. აღსანიშნავია, რომ მასობრივი წესით, განსაკუთრებით დინამიკაში, მოსახლეობის პროფილაქტიკური ხასიათის სამედიცინო შემოწმება მსოფლიოში ჯერ არსად ტარდება, მაგრამ სამედიცინო პრაქტიკაში მეოთხე ანუ ადამიანის ორგანიზმში გარდამავალი მდგომარეობისადმი ყურადღების გამახვილებას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია მთელი რიგი დაავადების პროგრესირების თავიდან აცილების საქმეში.

ვინაიდან გარდამავალ მდგომარეობაში ყოფნის დროს, თვითრეგულირების მექანიზმების განვითარებით, ორგანიზმს აქვს უნარი, წინააღმდეგობა გაუწიოს იმ ფუნქციურ დარღვევებს, რომელიც ამ დროს იჩენს თავს ყოველგვარი კლინიკური გამოვლინების გარეშე, ამიტომ მას აუცილებლად ესაჭიროება გარკვეული სტიმულირება (ხელის შეწყობა) იმ მთელი რიგი ღონისძიების (პროცედურების) ჩატარებით, რაც კარგადაა ცნობილი, როგორც პროფილაქტიკური, ისე კლინიკური (პოლიკლინიკური) მედიცინისთვის, იგულისხმება მუშაობისა და დასვენების რაციონალური შეხამება, სწორი კვება, გამაჯანსაღებელი რეჟიმი (ფიზიკური ვარჯიში), თუ გინდ, პრევენციული ხასიათის სამკურნალო პრეპარატების მიღება, ასევე, ფიზიკური ფაქტორებით (ფიზიო-ბალნეოთერაპია) გამაჯანსაღებელი პროცედურების ჩატარება და სხვა.

უნდა გვახსოვდეს, რომ გარდამავალი მდგომარეობისას ორგანიზმში დარღვეული ფიზიოლოგიური პროცესების დროული შეჩერება და მათი აღდგენა, თვით ორგანიზმის საარეზერვო ძალების (მათ შორის, თვითრეგულირების მექანიზმებით) და გარედან სხვადასხვა მასტიმულირებელი (გამაჯანსაღებელი) ფაქტორის ერთდროული მოქმედებით უნდა ხორციელდებოდეს, რაც განაპირობებს ჯანმრთელობის მყარად შენარჩუნებას, ანუ ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას.

გარდამავალი მდგომარეობის დროს ორგანიზმში ფარული დარღვევების დადგენა იოლი არაა, იგი მოითხოვს თანამედროვე ლაბორატორიული გამოკვლევების ახალი მეთოდების შექმნას, რაც, ასევე, უნდა იყოს გათვალისწინებული.

სპორტულ მედიცინაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სპორტსმენთა უფრო ხშირ ტესტირებას. სამწუხაროდ, ხშირად სპორტსმენები საპასუხისმგებლო შეჯიბრებების წინაშე გადაღლილ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ხოლმე, რისი ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისაა, რომ გარდამავალ მდგომარეობაში ყოფნისას, მათ არავითარი ტესტირება არ უტარდებათ ფიზიკური შრომისუნარიანობის დადგენის მიზნით. გამოდის, რომ სპორტსმენებსა და მწვრთნელებს ამის შესახებ არა აქვთ სათანადო ინფორმაცია, რაც წვრთნის პროცესის სწორად მართვის და სათანადოდ მომზადებული სპორტსმენების შეჯიბრებებზე წარდგენის ხელშემშლელი ფაქტორია. პრაქტიკულ (კლინიკურ) მედიცინაში ადამიანის ორგანიზმში გარდამავალ მდგომარეობაზე ყველაზე უკეთ ექიმისა და პაციენტის მიერ ყურადღების გამახვილება მოხდება მაშინ, როდესაც ქვეყანაში თანამედროვე დონეზე განვითარდება **საოჯახო მედიცინა**. სწორედ ოჯახის ექიმები და მათი მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი მოქალაქეები, ხშირი შეხვედრების, კონტაქტების საფუძველზე უფრო გაამახვილებენ გარდამავალ მდგომარეობაზე ყურადღებას, რაც მისცემს მათ საშუალებას, დროულად გატარდეს სათანადო პრევენციული ღონისძებები.

გამომდინარე აღნიშნულიდან, მნიშვნელოვან საქმედ უნდა მივიჩნიოთ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ის ახალი ინიციატივა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში საოჯახო მედიცინის თანამედროვე მოთხოვნების დონეზე განვითარებას გულისხმობს.

რომანოზ სვანიშვილი,
თბილისის სახელმწიფო
სამედიცინო
უნივერსიტეტის პროფესორი

სტუდენტის ავტორი

კოკა გოგიჩაშვილი თსსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის პირველკურსელია. ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა გადაწყვიტა ექიმის პროფესიას დაუფლებოდა და სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი გამხდარიყო, დაინტერესდა მედიცინის კავშირით სხვადასხვა სფეროსთან, ხოლო ეროვნული გამოცდებისთვის მზადებისა და „ვეფხისტყაოსნის“ ძირეულად შესწავლისას აღმოაჩინა, რომ პოემაში დიდი ადგილი ეთმობა მედიცინას და საექიმო საქმიანობას. ჩვენ, რა თქმა უნდა, ყურადღებას არ შევაჩერებთ მდიდარი რუსთველოლოგიური ლიტერატურიდან ანალოგიური პარალელების შედარება-გაანალიზებაზე, ბუნებრივია, არც კრიტიკისთვის ვართ განწყობილნი, რადგან მიგვაჩნია, რომ, თავისთავად, პირველკურსელის სურვილი – შეეჭიდოს ასეთ საინტერესო თემას და მისეული ხედვა შემოგვთავაზოს ამ კუთხით, უკვე სასიხარულო და მისასალმებელია. როგორც შევიტყვეთ, კოკა შემოქმედებითი ნიჭითაც გამოირჩევა – წერს ლექსებს, ჩანახატებს... ასე რომ, ამჯერად, მისი მხოლოდ დებიუტია ჩვენი გაზეთის ფურცლებზე და, იმედი გვაქვს, მომავალში კოკას შემოქმედების გაცნობის შესაძლებლობაც მიეცემა მკითხველს.

მედიცინა და „ვეფხისტყაოსანი“

„ყველაფრის ძირი მის ფესვებშია, რომელსაც კენწეროომდე მივყავართ“ – ამბობს ი.თებრიზი. ყველა სფეროსა და საგანს გააჩნია ძირეული მომდინარეობა და ფესვები, გამონაკლისი არც სამედიცინო სფეროა. მედიცინა უძველესი დარგია, იგი არსებობის მრავალ ათასწლეულს ითვლის. ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის მიღწევებმა, კლინიკურ-ანატომიური და კლინიკურ-ექსპერიმენტული მიმართულებების განვითარებამ, ავადმყოფობის კვლევის ობიექტურმა მეთოდებმა განაპირობეს მედიცინის განვითარება. მედიცინა სფეროა, რომელიც ყოველდღიურად განიცდის მოდიფიკაციასა და ცვალებადობას და მისი ფესვები არაერთ ქართულ წყაროში მოიძებნება, მაგ: „წიგნი საექიმო“, “იადიგარ დაუდი“ და სხვ. სალიტერატურო და სამეცნიერო ტრადიციებმა საქართველოში შესაძლებელი გახადა შექმნილიყო დახვეწილი სამეცნიერო ტერმინოლოგია, მათ შორის - სამედიცინოც, რომელსაც ჩამოყალიბების ხანგრძლივი ისტორია აქვს. ჩემი მიზანია წარმოვაჩინო ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებისა და განვითარების ხანგრძლივი პროცესის სურათი შოთა რუსთველის უკვდავი პოემის ფონზე. მიმაჩნია, რომ იგი არა მარტო წიგნია სიბრძნისა, არამედ მრავალი ფაქტისა და საინტერესო ინფორმაციის მატარებელი, რომელიც, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია თითოეული იმ პიროვნებისთვის, რომელიც მედიცინის სფეროში მოღვაწეობს. სამედიცინო ტერმინოლოგია მუდმივად განიცდის განახლება-დახვეწის ეტაპებს და, ამიტომ, მინდა ყურადღება გავამახვილო იმ სასარგებლო ასპექტებზე, რაც დაეხმარება ახლაბედა ექიმებს სამეცნიერო ტერმინების მართებულად შესწავლა-გამოყენების საქმეში.

თითქმის რვა საუკუნე გვაშორებს “ვეფხისტყაოსანს”, მაგრამ დღესაც მიმდინარეობს პოემის იდეური შინაარსისა და მხატვრული ფონის გამორკვევა, სახისმეტყველების ნიმუშებისა და სიმბოლოების შესწავლა, თუმცა ჩვენი მიზანი არ არის პოემის იდეურ-მხატვრული ანალიზი, უბრალოდ, შევეცდებით დავადგინოთ კავშირი მედიცინასა და „ვეფხისტყაოსანს“ შორის. ვფიქრობ, ეს თემა მეტად აქტუალურია და მრავალთა ინტერესის საგანსაც წარმოადგენს. ვეცდები ეს ინტერესი ოდნავ მაინც დავაკმაყოფილო და მოვძებნო კავშირი ძველსა და თანამედროვე მედიცინას შორის .

საყოველთაოდ ცნობილია რუსთველის გენიალობა და არც ის იქნება ხმამაღალი ნათქვამი, თუ ვიტყვი, რომ იგი პოეტთა პოეტია, მაგრამ ცოტამ თუ იცის მისი, როგორც სამედიცინო სფეროში განსწავლული პირის შესახებ. ალბათ ეს იმის ბრალიცაა, რომ რუსთაველზე ისტორიული წყაროები მწირ ინფორმაციას გვაწვდიან, მეტადრე – მისი, როგორც მედიცინაში განსწავლული პირის შესახებ. ამასთან დაკავშირებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ რუსთაველს ელემენტარული სამედიცინო განათლება იყალთოს აკადემიაში უნდა მიეღო, სადაც იგი, სხვა საგნებთან ერთად, მედიცინასაც სწავლობდა. *ექიმ ლადო კოტეტიშვილის აზრით, რუსთაველი ზედმიწევნით კარგად იცნობდა საქართველოს ექიმურ-ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას. გარდა „წიგნი საიქიმოსა“, ჩანს, მას შეხება ჰქონია სხვა საექიმო წიგნებთანაც, რომლებმაც ჟამთა სიავის გამო ვერ მოაღწიეს ჩვენამდე,* თორემ სხვაგვარად შეუძლებელია იმ სამედიცინო ასპექტების წარმოჩენა სპეციალური განათლების გარეშე, რასაც მრავლად შევხვდებით პოემაში. ეს საკითხი დავის საგანია, მაგრამ ერთ რამეზე კი შეგვიძლია ნამდვილად შევთანხმდეთ - რუსთაველი, სხვა სფეროებთან ერთად, შესანიშნავად ფლობს მედიცინასაც.

ქართულ მედიცინას დიდი ფესვები აქვს და სამედიცინო წყაროებს სხვადასხვა ძველ წყაროშიც ვხვდებით, ამასთან, არცთუ მცირე ინფორმაციის მომცემია „ვეფხისტყაოსანიც“. აქ შევხვდებით მრავალ ფაქტსა თუ ნიუანსს, რაც უშუალო კავშირშია საექიმო საქმიანობასთან. პოემაში ვეცნობით ზოგიერთ დაავადებასა და მისი შესაძლო მკურნალობის გზებს, ასევე სამედიცინო ტერმინოლოგიას, ეს უკანასკნელი კი მრავლადაა პოემაში. მაგ: ვეფხისტყაოსანში მოხსენიებული სიტყვა „არავი“ თანამედროვე მედიცინის ენაზე გადაითარგმნება, როგორც სამხრეთის ქარი, ასევე „ბორიო“- ჩრდილოეთის ცივი ქარი,შევხვდებით სიტყვას – „დასტაქარი“, რაც ქირურგს ნიშნავს, ნახსენებია „მუფარახი“ - კარგ გუნებაზე მომყვანი წამალი. ასევე შეხვდებით სიტყვებს: „სალმობა“- ტკივილი, „საპყარი“- დავარდნილი, ვისაც არ შეუძლია სიარული; მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს სიტყვა „ფაზარს“, რომელიც ქვისებრი მრგვალი სხეულია, მას ნალექად პოულობენ ზოგიერთი ცხოველის კუჭში (ძველად ხმარობდნენ სხვადასხვა ავადმყოფობისა და შხამით მოწამვლის წინააღმდეგ). – „ქუა ნაღველთა და ღჳძლთა შინა ცხოველთასა და უფრორე ნიამორთასა, ანუ კლდეთა შორის პოვებული, იხმარების სამკურნალოდ, წამლად, რომელს გალესენ წყალსა შინა და დაალევინებენ მას სნეულთა“. ნახსენებია ასევე სიტყვები: „სალბუნი“- მამათი აქ ავლენს მცირეოდენ საექიმო საქმის ცოდნას – მან იცის, თუ როგორ უმკურნალოს გულწასულს.

ყურადსაღებია ავთანდილის სახე პოემაში. იგი შეიძლება ჩაითვალოს ფსიქოანალიტიკოსად, ფსიქოთერაპევტად, რომელიც პოემაში დახასიათებულია, როგორც „სევდის მუფარახი“ და „ცნობიერთა დასტაქარი“. მუფარახი ერთგვარი წამალია, რომელიც მოქმედებს ნერვულ სისტემაზე და გუნებაზე მოჰყავს ადამიანი.

ავთანდილმა კარგად იცის, თუ რას ნიშნავს ექიმობა: „რა აქიმი დაგან თავის დასაღწევად მიმართავენ ბნელ ოთახს, რომელიც ესოდენ სასარგებლოა დაღლილთა მოსასვენებლად.

ვეფხისტყაოსანში სექსოპათოლოგიასთან დაკავშირებულ ეპიზოდებსაც შევხვდებით, რაც, მაგალითად, ნათლად ჩანს ფატმან-ხათუნის სახეში: *ქალი დაუფარავად აცხადებს: „მით არ ვჯერვარ ქმარსა ჩემსა, მჭლე არის და თვალად ნასი.“ მას უყვარს ალკოჰოლური სასმელები, იზიდავს ბოჰემური ცხოვრება.*

პოემაში უხვად მოიპოვება მასალები სამედიცინო ტერმინოლოგიის შესახებ. შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანში“ ამჟღავნებს თავისი დროის მედიცინის ვრცელ და საფუძვლიან ცოდნას, ამგვარად, სავსებით სამართლიანი იქნება თუ ვიტყვით, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არის არა მხოლოდ მხატვრული ლიტერატურის უბადლო ნიმუში, არამედ დიდი სამეცნიერო წიგნიც, სადაც ასევე დიდი ადგილი უჭირავს მედიცინას და საექიმო საქმიანობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლ. კოტეტიშვილი: „საექიმო იდეები ვეფხისტყაოსანში“.
2. ა. შანიძე: „ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი“.
3. ინტერნეტით მოძიებული სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ლიტერატურა.

ხსოვნა გაგრძელდა

პროფესიული საქმიანობით დაგვაჯილდა ქალბატონი

არიან ადამიანები, რომლებიც საყვარელ საქმეს ყველაფერზე მაღლა აყენებენ და არჩეულ პროფესიას სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად ემსახურებიან. სამწუხაროდ, ხშირად მათი ღვაწლი სიცოცხლეში ჯეროვნად არ ფასდება. თუმცა ხალხის სიბრძნემ და კაცობრიობის გამოცდილებამ ემპირიულად მიაგნო და დაამკვიდრა რეალობა: ნამდვილი აღიარება გარდაცვალების შემდეგ მოდის და სამარადისო თბილ მოგონებად რჩება...

...1961 წელი, ოქტომბერი...

რუსთაველის გამზირზე ჩემი დადნაფიცი თანაკურსელი **ლეილა ფიცხელაური** შემხვდა. სიხარულით და ახალგაზრდული სიყვარულით დავიწყეთ თბილი მოგონებანი. როდესაც თითქოსდა ამოვწურეთ საბაასო თემები, მოულოდნელად მკითხა, ხომ არ ვისურვებდი მამამისთან სამუშაოდ გადასვლას რუსთავის საქალაქო საავადმყოფოდან, სადაც იმ დროს თერაპიულ განყოფილებას ვხელმძღვანელობდი. მოულოდნელობისგან დავიბენი: ერთი მხრივ, ხუთწლიანი მუშაობის შემდგომ, ძალიან მენანებოდა არაჩვეულებრივი კოლექტივის, საყვარელი მეგობრებისა და, რაც მთავარია, უკვე შესისხლხორცებული თერაპიული პროფესიის მიტოვება, მეორე მხრივ კი – დილიდან საღამომდე ოჯახს მოწყვეტილი, უსაზღვრო გულისტკივილით ვგრძნობდი, რარიგ მარტოსულად მიტოვებული მყავდა ჩემთვის უძვირფასესი ადამიანი – დედა, რომელიც, სასოწარკვეთილი, ჩემი დის მოულოდნელი გარდაცვალების გამო, მხოლოდ უძილო ღამეებისას მხედავდა, მთელი დღის მანძილზე კი სარკმელს მისჩერებოდა ჩემს მოლოდინში.

ლეილა ფიცხელაურმა, ისევე, როგორც ჩემმა თანაკურსელებმა, კარგად იცოდა ჩვენს ოჯახში დატრიალებული მოულოდნელი ტრაგედიის შესახებ და, რამდენადაც უნარი შესწევდათ, სითბო და ყურადღება არ მოგვაკლეს – არც მე და არც გაუბედურებულ დედაჩემს.

ჩემს ყოყმანს ბოლო მოეღო მეორე დღესვე: ტელეფონით ლეილას მამა, პროფესორი გრიგოლ (გარი) ფიცხელაური, რომელიც მაშინ ნ. მახვილაძის სახელობის შრომის ჰიგიენისა და პროფესიულ დაავადებათა ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა, დამიკავშირდა და მითხრა სიტყვები, რომელიც დღემდე ჩამესმის: „პროფესიული დაავადებით შეპყრობილ ავადმყოფებსაც ისეთივე თერაპიული დაავადებები გაჩნიათ, რაც ზოგადთერაპიულ კლინიკაში, ჩამოდი, გელოდები!“

ასე გადაწყდა ჩემი შემდგომი პროფესიული მოღვაწეობა და 1961 წლის 25 ოქტომბერს პირველად შევაღე პროფპათოლოგიური კლინიკის კარი.

ეს იყო პერიოდი, როდესაც პროფპათოლოგიურ კლინიკაში უბადლო სამეული მოღვაწეობდა: საქართველოში პროფესიული მედიცინის დამაარსებლის, პროფესორ ნიკო მახვილაძის უერთგულესი თანამოაზრე და ჭეშმარიტი მოქალაქე, ქალბატონი **მაკა (მარიამ) მაჩაბელი,** მეცნიერული და კლინიკური პროფპათოლოგიის დაუღალავი მკვლევარ-ნოვატორი და მებრძოლი; იმ დროისთვის ინოვაციური იდეებით აღსავსე ქალბატონი – **სალომე ყიფიანი** და მათ გვერდით მყოფი, ახალგაზრდული გარეგნობის, თუმცა უკვე სრულიად გაჭაღარავებული, ხვეული თმით შემკობილი, რაც მის ულამაზეს გარეგნობას განსაკუთრებულ ხიბლს სძენდა, ქალბატონი **ელზა გძელიძე.**

ამ დღიდან დაიწყო ჩვენი განუყრელი მეგობრობა და თანადგომა როგორც პროფესიულ, ისე ყოფით ყოველდღიურობაში.

ქალბატონი ელზა 1912 წელს დაიბადა ერევანში, სადაც მამამისი მეუღლით, ნინო ნუქიფიშვილითურთ, იმყოფებოდა და სამხედრო მოვალეობას იხდიდა. მალე ოჯახი სამუდამოდ დაუბრუნდა მშობლიურ თბილისს და, სწორედ აქ, 2002 წელს დაასრულა ელზა გძელიძემ სახელოვანი ცხოვრების გზა. მახსოვს მისი ულამაზესი ცრემლმორეული თვალები, როდესაც მადლობას მიხდიდა ჩემი თბილი წერილისთვის, რომელიც 2002 წლის ნოემბერს დაიბეჭდა გაზეთ „მედიცინაში“ სათაურით – „ქართული პროფპათოლოგიის ცოცხალი მატიანე“...

იმ დროისთვის ქალბატონი ელზა, მისთვის ჩვეული თავმდაბლობით და მოკრძალებით, საკუთარი ნებით და მტკიცე გადაწყვეტილებით, უკვე 12 წელზე მეტ ხანს პენსიაზე იმყოფებოდა და მხოლოდ მისთვის ცნობილი და გულისამაჩუყებელი სიმები ააძგერა და კიდევ ერთხელ გაახსენა ამ წერილის სტრიქონები.

...დღეს კი, ხელთ კალმის აღებისას, ბევრი რამ გადამეშალა თვალწინ. კვლავ გავიხსენე, რომ ამ გამორჩეული ერისშვილის გარეშე, რომელიც ჩუმად, მშვიდად და ღირსეულად აკეთებდა თავის საქმეს ქართულ პროფპათოლოგიურ კლინიკაში: სწორად ვერ იმოქმედებდი, ვერ გასინჯავდი ავადმყოფს, ვერ გადაწყვეტდი საბოლოო დიაგნოზს და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვერავის დაარწმუნებდი, რამდენად სწორად და არგუმენტირებულად იყო განსაზღვრული ავადმყოფობის არსი – პროფესიული თუ ზოგადი ხასიათისაა სნეულება, რასაც ავადმყოფისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მისი სულიერი თუ მატერიალური სამართლიანი კომპენსაციის თვალსაზრისით. ეს იყო ქალბატონი, რომლის დასკვნასაც შემოწმება აღარ სჭირდებოდა.

გამახსენდა ჩვენი პირველი შეხვედრა სუფრასთან, თბილის-ქალაქის შუაგულში, ათარბეგოვის ქუჩაზე მდებარე მყუდრო ბინაში, მისი დაბადების 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოს თავშეკრებაზე. გულში ჩამრჩა ჩვენი ახლადმოსული დირექტორის, შესანიშნავი ადამიანის, **რევაზ მანჯგალაძის**, სიტყვები, რომლითაც მან ქალბატონ ელზას მიმართა: „გაგიმარჯოთ, თქვენ, ქალბატონო ელზა, როგორც თქვენი შესანიშნავი ოჯახის, ჩვენი შემჭიდროებული პროფესიული კოლექტივისა და სრულიად საქართველოს ნამუსსა და სინდისს!“ ამ სიტყვებს, ლაკონურად და სავსებით ამომწურავად ნათქვამს, ჩვენ, ყველა იქ დამსწრე, ერთხმად დავეთანხმეთ, რასაც თან მოჰყვა ქართული სუფრისთვის ესოდენ გამორჩეული სადღეგრძელოების ბრწყინვალე ფოეიერვერკი...

...დღევანდელი გადასახედიდან სულ ახლებურად ვხედავ და ვაფასებ ქალბატონი ელზას მიერ განვლილ ცხოვრებისეულ გზას და წესს – თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, მან ჯერ ბორჯომსა და წყალტუბოში იღვაწა, შემდგომ კი – ნ. კონიაშვილის სახელობის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტსა და ალ. ალადაშვილის სახელობის კლინიკაში, ხოლო ცხოვრების 40 წელი, 1954 წლიდან, პროფესიულ მედიცინას მიუძღვნა. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კლინიკის ერთ-ერთ ხელმძღვანელს, მას ევალებოდა სამეცნიერო კვლევების წარმოებაც. ქალბატონი ელზა ამას აცნობიერებდა და აქტიურად ამ მიმართულებითაც მუშაობდა. ასე აღმოვჩნდით ერთად გორში, სადაც ბამბეულის კომბინატის ბაზაზე მიზნად დაისახა ბისინოზის პრობლემის მდგომარეობის შესწავლა საქართველოში.

იმ პერიოდში ბისინოზს ბამბის მტვრით გამოწვეულ პნევმოკონიოზებს მიაკუთვნებდნენ. ქალბატონმა ელზამ, პირველად სამედიცინო ლიტერატურაში, წარმოადგინა ვარაუდი, რომ საქართველოს პირობებში ბისინოზი შემოიფარგლება მხოლოდ „ორშაბათის სინდრომით“, როდესაც დასვენების დღეების შემდეგ, საამქროში დაბრუნებისას, მომუშავეთა შორის აღინიშნება ინტენსიური ცხვირცემინება, სურდოს მოვლენები, ცრემლდენა და ხველა, რაც თანდათან, სამუშაო კვირის მანძილზე, კანონზომიერად მცირდება და ქრება, ხოლო იგივე მოვლენები კვლავ თავს იჩენს შემდგომი სამუშაო კვირის დაწყებისთანავე – ორშაბათს. ყოველივე ამის საფუძველზე ქალბატონმა ელზამ გამოიტანა დასკვნა, რომ ბისინოზი პნევმოკონიოზების ჯგუფში მხოლოდ პირობითაა შეყვანილი და რომ პათოლოგიის არსი უფრო მეტად აუტანლობის, ზემგრძნობელობის შედეგად უნდა იქნას განხილული. რარიგ საამაყოა ქართული პროფპათოლოგიისთვის, რომ სწორედ საქართველოში გამოითქვა პირველად ეს აზრი, რადგან სადღეისოდ მთელმა მსოფლიომ აღიარა, რომ ბისინოზი პნევმოკონიოზების ჯგუფში არასწორად იყო შეტანილი და მსოფლიოს მონინავე სკოლები ამჟამად ორგანული მტვრით გამოწვეულ ზემგრძნობელობის მოვლენებს **„ჰიპერმგრძნობიარე პნევმონიტებს“** უნოდებენ.

მიუხედავად ამგვარი მეცნიერული და ინოვაციური ინტუიციისა, ქალბატონმა ელზამ პროფესიული ცხოვრების ძირითად გზად მაინც პრაქტიკული კლინიკური მედიცინა აირჩია და არც სამეცნიერო დისერტაცია დაუცავს. მისთვის მთავარი ყოველთვის იყო პრაქტიკული საექიმო მოღვაწეობა, რისი ერთ-ერთი ნათელი მაგალითია ჩვენს პროფპათოლოგიურ კლინიკაში ყველასთვის დასამახსოვრებელი შემთხვევა, როდესაც კლინიკაში გამოგზავნილ ავადმყოფს, სავარაუდოდ, გაურკვეველი ეტიოლოგიის პროფესიული პათოლოგია აღენიშნებოდა – ერთდროულად ჰქონდა კონტაქტი რამდენიმე მავნე საწარმოო ფაქტორების კომპლექსთან (მაღალი ტემპერატურა, ტოქსიური ნივთიერებები, მტვერი და სხვ.), მაგრამ ავადმყოფობის ძირითადი მიზეზი მაინც გაურკვეველი რჩებოდა. გამოკვლევის შემდგომ, ქალბატონმა ელზამ გამოიტანა მტკიცე დასკვნა, რომ ავადმყოფს გააჩნია ზოგადი, არაპროფესიული ხასიათის დაავადება – ჰემორაგიული ვასკულიტი, ე.წ. შონლაინ-გენოხის დაავადება, რაც სავსებით დადასტურდა თბილისის ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპეციალისტების მიერ.

მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონმა ელზამ კარგად იცოდა თავისი ღირსება და შესაძლებლობანი, არ მახსოვს არცერთი შემთხვევა, რომ რაიმე ნიშნით გამოეხატა ეს გამორჩეულობა.

თავშეკავება და თავმდაბლობა, პრინციპულობა და უსამართლობისადმი შეუპოვრობა, – აი, ასეთი თვისებები ამკობდა მას სიცოცხლის ბოლომდე.

არც ერთხელ არ გამოუხატავს სიტყვიერად ის, რითაც სამართლიანად ამაყობდა – მის მრავალრიცხოვან ოჯახს ხომ ქართველი ერის გამორჩეული შვილები ამშვენებდნენ: მეუღლე, პროფესორი **შალვა ფარჯანაძე,** ნ. კონიაშვილის სახელობის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კლინიკური და კვლევითი განყოფილების ხელმძღვანელი, ქალიშვილი – პროფესორი **დალი ფარჯანაძე** – საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერ-ფსიქოლოგის, დიმიტრი უზნაძის სკოლისა და მისი ღირსეული მოსწავლის, აკადემიკოს რევაზ ნათაძის უსაყვარლესი მოსწავლე, რომელიც წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი ფსიქოლოგიის კათედრას და იყო ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, ამჟამად სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორია; სიძე – პროფესორი **გურამ რცხილაძე** – ცნობილი პედიატრის, პროფესორ **ირაკლი რცხილაძის** ვაჟი, თსსუ-ის საფაკულტეტო თერაპიის კათედრის გამგე, გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიის განვითარების მექანიზმებისა და მკურნალობის აქტიური მკვლევარი, მრავალი მეთოდის შემმუშავებელი და კლინიკურ პრაქტიკაში დამნერგველი; შვილიშვილები, უფროსი – **ირაკლი რცხილაძე** – პედიატრი, პროფესორი, ცნობილი ქართველი პედიატრის, პროფესორ **მერი გელოვანის** საყვარელი მოსწავლე და მისი სკოლის ღირსეული გამგრძელებელი; სამედიცინო სამსახურის „მრჩეველი“ ხელმძღვანელი; უმცროსი შვილიშვილი – **შალვა რცხილაძე** – უნიჭიერესი კარდიოქირურგი, პროფესორი, ამჟამად გულისა და მაგისტრალური სისხლძარღვების კათეტერიზაციის ლაბორატორიის ხელმძღვანელი.

მიმდინარე წლის ოქტომბერში ქალბატონ ელზა გძელიძეს დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდებოდა...

...თბილისში, სოფელ დიღმის სასაფლაოზე, მოკრძალებულ, მყუდრო საფლავს შენიშნავთ. ისეთივე მოკრძალებულსა და მყუდროს, როგორი ცხოვრების წესითაც იცხოვრეს მათ აქ, უზომოდ საყვარელ ქართულ მიწას მიბარებულნი – ქალბატონი ნინო ნუქიფიშვილი, დედა, თავად ქალბატონი ელზა და მისი მეუღლე – ბატონი შალვა ფარჯანაძე განისვენებდნენ.

რამდენი თბილი მოგონება გვაკავშირებს ყველას, ვისაც კი მათთან გვქონია ადამიანური თუ პროფესიული ურთიერთობა. ამ საფლავთან მისვლისას, უნებლიედ გვიჩნდება თხოვნა-ვედრება ღმრთისადმი: „შეიწყალე, უფალო, სული მხევალთა და მონათა შენთანა!“

მსუბუქი იყოს მათთვის მშობლიური ქართული მიწა.

ვ ა ლ ი მ ს ა ა კ ა ძ ე,
საქართველოს მედიცინის, მედიკო-ბიოლოგიური, პროფილაქტიკური მედიცინის, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ახალი წიგნები

რუბრიკას უძღვება პროფესორი ვ ა ლ ი მ ს ა ა კ ა ძ ე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი. თბილისი.: შპს „დანი“. – 2012.-420 გვ.

სახელმძღვანელოს წინათქმაში ავტორი განმარტავს, რომ გარემოს ჰიგიენა, როგორც ჰიგიენური მეცნიერების დამოუკიდებელი მიმართულება, მიზნად ისახავს შეისწავლოს დასახლებებში გარემოს ფაქტორთა გავლენა ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და ცხოვრების სანიტარულ პირობებზე. გარემოს ჰიგიენის პრობლემებმა სრულიად ახლებური განვითარება ჰპოვა თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში; გაღრმავდა წარმოდგენა მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე სისტემაში „ადამიანი-გარემო“, შეიცვალა და დაზუსტდა ამ კავშირთა გამოვლენის პრინციპები და მეთოდები.

სახელმძღვანელოს ოთხ ძირითად თავში თანმიმდევრულადაა განხილული დასახლებების დაგეგმარებისა და განაშენიანების ჰიგიენის მრავალი ასპექტი, ქალაქთმშენებლობის ტერიტორიული სისტემა და სტრუქტურა, ფუნქციური ზონირება, სელიტებური ზონა, სამრეწველო, კომუნალურ-სასაწყობო, სატრანსპორტო, ლანდშაფტურ-რეკრეაციული და საკურორტო ზონები, ასევე, დასახლების ინფრასტრუქტურის ჰიგიენური საფუძვლები.

დაწვრილებითაა განხილული საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობებისა და სამედიცინო დაწესებულებების ჰიგიენის საკითხები; საფუძვლიანადაა აღწერილი დასახლებების ფიზიკური ფაქტორების ჰიგიენური მახასიათებლები (მექანიკური რხევები, გამოსხივება).



თითოეული თავის ბოლოს წარმოდგენილია განხილული მასალის ათვისების ხარისხის მაკონტროლებელი სიტუაციური ამოცანები და ტესტები, დასკვნით ნაწილში კი წარმოდგენილია სწორი პასუხები ტესტებზე.

სახელმძღვანელოს დანართის სახით ახლავს გარემოს ჰიგიენის სფეროს მარეგულირებელი ძირითადი საკანონმდებლო-ნორმატიული აქტები და გარემოს ჰიგიენის ტერმინოლოგიის განმარტებითი ლექსიკონი.

სარჩევის გარდა, სახელმძღვანელოს ახლავს საგნობრივი საძიებელი. გამოყენებული ლიტერატურა მოიცავს 15 ლიტერატურულ წყაროს, რომელთა შორის 9 გამოქვეყნებულია უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე; გამოყენებულია, აგრეთვე, პროფილური დაწესებულებების ანგარიშები, ინტერნეტ-რესურსები.

წარმოდგენილი მასალის აღქმას აადვილებს უხვად მოყვანილი საილუსტრაციო მასალა: 55 ცხრილი, 21 სურათი და 17 დანართი.

სახელმძღვანელო სრულად შეესაბამება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმს. განხილული მასალა, ბაკალავრიატის სტუდენტთა გარდა, დაეხმარება მაგისტრანტებს, ექიმ-რეზიდენტებს, გარემოს ფაქტორების მდგომარეობით და მოსახლეობის ცხოვრების სანიტარული პირობებითა და ჯანმრთელობაზე მათი გავლენით (გარემოს ჰიგიენის საკითხებით) დაინტერესებულ სხვადასხვა სპეციალობის მქონე პირებს.

ხსოვნა

ამაგდარი პედაგოგი, მეცნიერი და მკურნალი

პროფესორი **რევაზ სიგუა** – მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, გამოცდილი კლინიცისტი და ნევროლოგი – მიეკუთვნება ქართველ მედიკოსთა თაობას, რომელმაც სასახელოდ განვლო ცხოვრების გზა. ნახევარი საუკუნის მანძილზე მაღალზნეობრივი თვისებების მქონე პროფესიონალი კეთილსინდისიერად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას, როგორც კლინიცისტი და პიროვნება.

უნდა ითქვას, რომ იგი ჯერ კიდევ სკოლისა თუ სტუდენტობის პერიოდში გამოირჩეოდა შესაშური თვისებებით. სკოლისა და სამედიცინო ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, სრულიად ახალგაზრდა, იწყებს საექიმო საქმიანობას მიხეილის საავადმყოფოს ნერვული განყოფილების ექიმ ორდინატორად, ამასთანავე, მუშაობს სადისერტაციო ნაშრომზე და მალე ენიჭება მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, პარალელურად იწყებს პედაგოგიურ საქმიანობას, კითხულობს ლექციებს თსსუ-ში, ატარებს პრაქტიკულ მეცადინეობებს სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის ნერვულ სნეულებათა კათედრაზე ასისტენტის თანამდებობაზე. ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობის შემდგომ, დოცენტის წოდებით, მონაწილეობს სხვადასხვა პრაქტიკულ-სამეცნიერო კონფერენციაში, ეწევა სარედაქციო საქმიანობას, სხვადასხვა წლებში ეუფლება პედაგოგიკის ძირითად საკითხებს, დაბოლოს, პროფესორის წოდებით აგრძელებს პედაგოგიურ, სამეცნიერო და აქტიურ პრაქტიკულ საექიმო საქმიანობას.

მოწოდებით პედაგოგი, განსწავლული და განათლებული, ქართული ენის უბადლო მცოდნე და მჭევრმეტყველი, გულისხმიერი ექიმი, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში კარგად იყო ცნობილი. იგი დაუნანებლად და ენთუზიაზმით ატარებდა კონსულტაციებს სანავიოს სამსახურის ხაზით დღის ნებისმიერ მონაკვეთში.

მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში ადგილობრივ და საერთაშორისო მნიშვნელობის სიმპოზიუმებზე, კონფერენციებსა და ყრილობებზე, რომელიც ეძღვნებოდა ნევროლოგიის აქტუალურ საკითხებს.

ბატონი რეზო სამართლიანად ითვლებოდა საქართველოში ნევროლოგიური აზროვნების ფუძემდებლის, უდიდესი ნევროლოგის, **სიმონ ყიფშიძის** მოწაფედ; მუშაობდა აკადემიკოს **პეტრე ქავთარაძის** ხელმძღვანელობით, რომელიც მისი სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი იყო. ამის შემდეგ გამოსცა მონოგრაფია, რომელიც ეხებოდა სპინალური არაქნოიდიტის ეტიოლოგიის, კლინიკის და პათოგენეზის საკითხებს. ბატონ რეზოს შესრულებული აქვს 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც გამოქვეყნებულია როგორც რესპუბლიკურ, ისე უცხოურ სამეცნიერო ჟურნალებში. ავტორია გამოჩენილ მეცნიერთა შესახებ დასტამბული საიუბილეო წერილების და საგაზეთო სტატიებისა. ფართო იყო მისი კვლევის დიაპაზონი, რომელიც ეხება, როგორც სისხლძარღვოვან პათოლოგიას, ასევე, ნეიროინფექციებს, მწვავე და ქრონიკულ ხერხემლის ოსტეოქონდროზს, ქალა-ტვინის და ზურგის ტვინის დახურულ ტრავმებს, პერიფერიული ნერვული სისტემის დაზიანებას, სიმსივნეებს. ბატონ რეზოს ახლო მეგობრობა აკავშირებდა პროფ. **შმიდტთან, ლ. ბადალიანთან, ი. პოპელიანსკისთან, დ. შეფერთან, ს. ვეინთან. ნ. ბეხტერევასთან** და სხვა.

იგი იყო საკავშირო ყრილობების დელეგატი ქ. მოსკოვში, კიევში, ბალტიისპირეთის ქვეყნებში, ბაქოში, სამარყანდში, ერევანში და სხვა.

რაც შეეხება ბატონი რეზოს პიროვნულ თვისებებს: იგი გახლდათ კეთილშობილი, პატიოსანი, ოჯახის მოყვარული, საუკეთესო მეუღლე, მზრუნველი მამა, მოსიყვარულე ბაბუა, და, რაც მთავარია, მაღალი მორალური და ზნეობრივი თვისებების მქონე, ღრმად მოაზროვნე, საკუთარი მასწავლებლების და წინაპრების დამფასებელი, საოცარი მეხსიერების პატრონი (კათედრის ისტორიის მემატიანე). დიდია მისი წვლილი პრაქტიკულ სამეცნიერო და საიუბილეო კონფერენციების ორგანიზებაში. კერძოდ: თსსუ-ის სამკურნალო ფაკულტეტის ნერვულ სნეულებათა კათედრის დაარსებიდან 77 წლისთავისა და საქართველოში მეცნიერული ნევროლოგიის ფუძემდებლის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ ს. ყიფშიძის დაბადებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კონფერენციაში (1997 წ); საერთაშორისო პრაქტიკული კონფერენციაში – "ნევროლოგია დაბადებიდან სიბერემდე"; "ნეირომედიცინის უახლესი პერსპექტივები", რომელიც მიეძღვნა პროფ. ნ. ქავთარაძის დაბადებიდან 85-ე წლისთავს (2007 წ).

პროფესორ რეზო სიგუას, განსაკუთრებული ინტერესი და სიყვარული აკავშირებდა საჭადრაკო ხელოვნებასთან. იგი აქტიურად მონაწილეობდა თსსუ-ის ეგიდით გამართულ ყოველწლიურ საჭადრაკო ტურნირებში, სადაც ყოველთვის გამარჯვებული იყო – მიღებული აქვს არაერთი ჯილდო თუ მედალი. სასიხარულოა, რომ ტრადიცია გრძელდება: ბ-ნი რეზოს შვილიშვილი – დიდი ბაბუის თანამოსახელე – აგრძელებს ბაბუის სახელოვან გზას და როგორც ჭადრაკში, ისე იაპონურ შაშში, წარმატებით ასპარეზობს (არის ჩემპიონთა ჩემპიონის ტიტულის მფლობელი იაპონურ შაშში).

ბაბუა შვილიშვილთან ერთად

რეზო სიგუა დაუღალავად ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას – მრავალი წლის მანძილზე იყო ჯერ ს. ყიფშიძის სახელობის ნევროპათოლოგთა და ფსიქიატრთა რესპუბლიკური საზოგადოების მდივანი, მოგვიანებით – პეტრე სარაჯიშვილის სახელობის თბილისის ნევროპათოლოგთა საზოგადოების მდივანი. იგი გახლდათ რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს შრომათა კრებულის უცვლელი რედაქტორი, წარმატებით კითხულობდა ლექციებს და სტუდენტთა შორის სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით, გამორჩეული იყო როგორც პროფესიონალი მკურნალი კლინიცისტი – დაავადების დიაგნოსტიკის უტყუარი ალღოთი თუ ინტუიციით დაჯილდოებული.

აღსანიშნავია, რომ ბ-ნ რეზო სიგუას, კლინიკის თანამშრომლებთან ერთად, საქმიანი და ნაყოფიერი ურთიერთობა აკავშირებდა ექიმ ნევროლოგებთან საქართველოს არაერთ რეგიონში: სამეგრელოში, კახეთში, იმერეთში, აჭარაში...

უნდა აღინიშნოს მისი განსაკუთრებული ავტორიტეტის შესახებ სამედიცინო საზოგადოებაში – პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა შორის...

ბ-ნი რეზოს ღვაწლი და დამსახურება ამ სიტყვებით შეაფასა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ: "თსსუ-ის ადმინისტრაცია, აკადემიური პერსონალი და მრავალრიცხოვანი სტუდენტობა პატივს მიაგებს და აფასებს თქვენს განუზომელ ღვაწლს სამედიცინო უნივერსიტეტის წინაშე და თქვენს როლს საქართველოში უმაღლესი სამედიცინო განათლების სისტემის განვითარებაში. თქვენი მადლიერი მოსწავლეები თქვენ მოგყვებათ, თქვენ კი – ძველთა ნაკვალევს. სწორედ ეს არის სამედიცინო უნივერსიტეტის ტრადიციებით მომავლისკენ აღმა სვლის და მომავალი გამარჯვების საწინდარი. ქედს ვიხრით თქვენ მიერ გაღებული მადლის და სიყვარულის წინაშე. უნივერსიტეტის სახელით – თსსუ-ის რექტორი, პროფესორი **ზურაბ ვადაჭკორია**."

ბატონი რეზოს სახელი, მისი დამსახურება და ღვაწლი, ჩემს პედაგოგიურ, სამეცნიერო თუ პრაქტიკულ საქმიანობაში ყოველთვის პატივისცემით, მოკრძალებით და მადლიერების გრძნობით მოიხსენიება. მარადიულია მისი ხსოვნა არა მხოლოდ საქართველოს ნევროლოგთა და ფსიქიატრთა, არამედ, ზოგადად – ქართულ სამედიცინო საზოგადოებაში.

ნინული ნინუა,
თსსუ-ის ნერვულ სნეულებათა დეპარტამენტის ნეირომედიცინის მიმართულების პროფესორი

ლია ქუთათელაძე



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა, სტუდენტებმა, მკვლევრებმა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ დიდი დანაკლისი განიცადა – მოულოდნელად გარდაიცვალა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი ქალბატონი **ლია ქუთათელაძე.**

უნივერსიტეტში საქმიანობის ყველა ასპექტი – სწავლება თუ სწავლა, კვლევა თუ საექიმო საქმიანობა, სამეცნიერო და აკადემიური ინფორმაციის მიღებასთან და გადაცემასთან ორგანულადაა დაკავშირებული, მით უფრო დღეს – ბიოსამედიცინო ინფორმაციის სიუხვის ეპოქაში, ამიტომ, ბიბლიოთეკა იყო, არის და იქნება საუნივერსიტეტო ცხოვრების უმნიშვნელოვანესი რგოლი.

ქალბატონი ლია ქუთათელაძე პროფესიული, ინტელიგენტური, ჰუმანური და მისთვის დამახასიათებელი შემოქმედებითი დამოკიდებულებით საბიბლიოთეკო საქმისა და მკითხველებისადმი სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ქმნიდა იმგვარ გარემოს და პირობებს, რაც ბიბლიოთეკის თითოეულ სტუმარს უზრუნველჰყოფდა კომპეტენტური სერვისით და გულისხმიერებით.

ქალბატონი ლია თითქმის ოთხი ათეული წელწადი იყო საბიბლიოთეკო საქმის სამსახურში, ჯერ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 2001 წლიდან კი – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, თუმცა, სამედიცინო უნივერსიტეტში მოღვაწეობა მან 1997 წელს დაიწყო საორგანიზაციო მუშაობის სექტორში, იგი კარგად იცნობდა უნივერსიტეტის თანამშრომლებსა და სტუდენტებს, მათ ობიექტურ საჭიროებებს და მუშაობის სპეციფიკას; ყოველივემ, მის კვალიფიკაციასთან, საქმიან და ადამიანურ თვისებებთან ერთად, განაპირობა ის, რომ სამედიცინო უნივერსიტეტში მუშაობის 15 წლის მანძილზე ქალბატონმა ლიამ თანამშრომლებისა და სტუდენტების ნდობა, პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა.

ქალბატონი ლია იყო საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრი, საქართველოს ბიბლიოთეკების კონსორციუმის წევრი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორთა საბჭოს წევრი, რეგიონული თუ საერთაშორისო პროფესიული ტრენინგების აქტიური მონაწილე; იგი ყოველთვის ღია იყო სასარგებლო და საჭირო ცვლილებისა და სიახლისადმი, ზრუნავდა და ინარჩუნებდა სამედიცინო უნივერსიტეტის მდიდარ და უნიკალურ საბიბლიოთეკო ფონდს და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ეფექტურად ეძიებდა რესურსებს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის და ელექტრონული საინფორმაციო ბაზების გამდიდრებისთვის.

სამედიცინო უნივერსიტეტმა არსებობის ოთხმოც წელზე მეტი ხნის ისტორიის მანძილზე ბევრი ადამიანური დანაკლისი და ტკივილი ნახა; სამწუხაროდ, ეს წუთისოფლის ულმობელი კანონია და ადამიანი მის წინაშე უძლურია, მაგრამ სამწუხაროა, რომ ქალბატონი ლია ქუთათელაძე გარდაიცვალა მაშინ, როდესაც იგი პროფესიული გამოცდილებით, კომპეტენციით, საქმისადმი კრეატიული დამოკიდებულებით და კაცთმოყვარეობით იყო საჭირო და სასურველი თანამშრომელი სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და მკვლევრებისთვის, მხარში მდგომო უფროსი მეგობარი – სტუდენტებისთვის, სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის პატარა ოჯახის მზრუნველი დიასახლისი, მოყვარული და საყვარელი დედა და ბებია.

ძალიან სამწუხაროა, რომ ქალბატონი ლია წავიდა მაშინ, როდესაც მას კიდევ დიდხანს შეეძლო ყოფილიყო სამედიცინო საზოგადოების სამსახურში, მისი შვილების, შვილიშვილების, მეგობრების გვერდით.

ქალბატონი ლია ქუთათელაძის სახელი და მისი ხსოვნა სამუდამოდ ჩაიწერება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ისტორიაში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

დაუვიწყარი გიზო დოლიძე

ქართულმა სპორტულმა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა – სულ ახლახან გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, ყველა ჩვენგანისთვის პატივსაცემი პიროვნება, სამედიცინო უნიერსიტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის ყოფილი გამგე, დოცენტი გენრიხ (გიზო) დოლიძე.

გენრიხ (გიზო) დოლიძე დაიბადა 1933 წელს, თბილისში; საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა და წარმატებით დაასრულა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი. 1962 წელს, როგორც სპორტის პედაგოგმა, მუშაობა დაიწყო ჩვენს უნივერსიტეტში (მაშინ – სამედიცინო ინსტიტუტი) ფიზიკური აღზრდის, საექიმო კონტროლის და სამკურნალო ფიზკულტურის კათედრაზე, სადაც გაიარა მასწავლებლის, უფროსი მასწავლებლის და კათედრის გამგის თანამდებობრივი საფეხურები. იგი, როგორც უაღრესად მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, ზემოაღნიშნული კათედრის ორად (ფიზიკური აღზრდისა და სპორტის და სპორტული მედიცინისა და სამკურნალო ფიზკულტურის) გაყოფის შემდეგ, 1977 წლიდან, სათავეში ჩაუდგა ფიზიკური აღზრდის და სპორტის კათედრას და უნდა ითქვას, რომ 23 წლის განმავლობაში ბრწყინვალედ ხელმძღვანელობდა მას, ხოლო 2000 წლიდან 2006 წლამდე გახლდათ თსსუ-ის სპორტული სკოლის დირექტორი.

ბატონი გიზო ახალგაზრდობაში შესანიშნავი ტანმოვარჯიშე იყო. იგი, როგორც სტუდენტობის პერიოდში, ასევე, შემდგომ წლებშიც გამოდიოდა სპორტის ამ ულამაზეს სახეობაში სხვადასხვა რანგის შეჯიბრებაზე და არაჩვეულებრივ წარმატებებსაც აღწევდა, მაგრამ მას რატომღაც ძალიან ადრე გაუჩნდა სურვილი გადასულიყო პედაგოგიურ (სამწვრთნელო) საქმიანობაზე, რასაც მრავალი წლის განმავლობაში შესანიშნავად გაართვა კიდეც თავი და წლების განმავლობაში უმაღლესი სასწავლეებლების ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრების მასწავლებელთა შორის აღიარებულ სპეციალისტად იყო მიჩნეული. მისი ხელმძღვანელობით, კათედრის პედაგოგიური და დამხმარე პერსონალი ყველაფერს აკეთებდა, რომ სტუდენტებთან ძალიან თბილი დამოკიდებულება ჰქონოდათ, რაც არცთუ იოლი გახლდათ. საბედნიეროდ, ჩვენი უნივერსიტეტის სპორტისა და ხელოვნების ცენტრში ამგვარი ურთიერთობა დღესაც გრძელდება.

ბატონი გიზო დოლიძის მუშაობის პერიოდში კათედრაზე ნამდვილად ჩქეფდა სპორტული ცხოვრება (აკადემიური და სექციური მეცადინეობები, სხვადასხვა სახის ღონისძიება) და იყო პერიოდი, როდესაც ამ პროცესებში I-IV კურსის ყველა ფაკულტეტის სტუდენტი იღებდა მონაწილეობას, ასევე, რა თქმა უნდა, V-VI კურსის კვალიფიციური სტუდენტი სპორტსმენები, რომლებიც წარმატებით გამოდიოდნენ როგორც რესპუბლიკურ, ასევე, საკავშირო სპორტულ შეჯიბრებებზე სამედიცინო და ფარმაცევტულ უმაღლეს სასწავლებლებს შორის და წარმატებით იცავდნენ მშობლიური უმაღლესი სასწავლებლის ღირსებას.

ბატონი გიზო გახლდათ არა მარტო ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება, ამავე დროს, ბრძანდებოდა ბრწყინვალე მეთოდისტ-პედაგოგი, რომელმაც კარგად უწყოდა, თუ მეთოდურად სწორად როგორ უნდა წარმართულიყო წვრთნა სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

ბატონი გიზო, გარდა პედაგოგიური საქმიანობისა, ეწეოდა სამეცნიერო მოღვაწეობასაც. მას სხვადასხვა დროს არაერთ ჟურნალში აქვს გამოქვეყნებული რამდენიმე ათეული სამეცნიერო ნაშრომი და პუბლიკაცია, გამოცემული აქვს ორი სახელმძღვანელო. 1989 წელს მას მიენიჭა დოცენტის წოდება. დამსახურებული მოღვაწეობისთვის დაჯილდოებული იყო მედლებით, დიპლომებით, სიგელებით და მადლობის წერილებით, როგორც რესპუბლიკის, ასევე ყოფილი საკავშირო უმაღლესი სასწავლებლების და ჯანდაცვის სამინისტროების მიერ.

– „გიზო გიორგევიჩ", – ასე მიმართავდნენ მას სიყვარულით. ვიტყოდით, რომ იგი გახლდათ უაღრესად კარგად აღზრდილი და მაღალი კულტურის მქონე პიროვნება, რომელიც ყოველთვის მზად იყო მოყვასის დასახმარებლად. გამომდინარე მისი პიროვნული ღირსებებიდან, მასთან საქმიანი თუ მეგობრული შეხვედრა ყოველთვის სასიამოვნოდ წარიმართებოდა.

განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით ვიხსენებთ ბატონ გიზოსთან ერთად გატარებულ წლებს. იგი გახლდათ კარგი და დიდი მეგობარი, რომელიც განსაკუთრებული ავტორიტეტით და პატივისცემით სარგებლობდა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, თანამშრომლებსა და სტუდენტებს შორის.

წავიდა ჩვენგან ჭეშმარიტი ადამიანი – შესანიშნავი მეუღლე, მამა, მეგობარი, რომლის ხსოვნაც სამარადისოდ შემორჩება საყვარელ ოჯახს, კოლეგებს, მეგობრებს, მრავალრიცხოვან აღზრდილებს...

ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს მარადიულ სასუფეველში!

რომანოზ სვანიშვილი,
პროფესორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდისა და საექიმო კათედრის ყოფილი გამგე;

ზაურ ფხალაძე,
აკადემიური დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორი.